# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 117 შაბათი, 30 მაისი 1909 წ. № 117

გაზეთი «დროება» სურათებიანი დამატებით ერთის წლით ღირს 8 მან. 50 კაპ., ნახევარი წლით—5 მან. 10 კ., ერთის თვით—1 მან. გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვებში.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან.. ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «დროების» რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია ხევს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან საღამოს 3 საათამდე.

ადრესის გამოცვლა ტფილისიდან ტფილისს გარედ ღირს 1 მან., ხოლო სხვაგან 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭБА».

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.



## დროება

ყოველ დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს აქვს ყოველკვირეული

**სურათებიანი დამატება**

გაზეთის ფასი დამატებიანა: წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—5 მან. 10 კაპ., ერთი თვით—1 მან.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

პირველ ივნისიდან წლის დამლევამდე ღირს 5 მ. 80 კ.

ხელის-მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში: დიდი ვანქის ქუჩა, N 12, დილით 9-დან 3 საათამდე, საღამოთი 5-დან 8 საათამდე.

ადრესი: Тифлисъ, Редакція „Дроэба“ И. С. АГЛАДЗЕ.

## ხელის-მომწერთა საყურადღებოდ.

„დროების“ კანტორა წლიურ ხელის-მომწერთა საყურადღებოდ აცხადებს: ვისაც მარტო ხუთი მანეთი აქვს შემოტანილი, პირველ ივნისისთვის მან ორი მანეთიც უნდა შემოიტანოს, წინააღმდეგ შემთხვევაში გაზეთი მოესპობა.

კვირას 31 მაისს, 1909 წელს

**მ უ შ ტ ა ი დ შ ი**

ქართველ ქალთა სახელოსნო-სკოლის სასარგებლოდ გაიმართება

## დიდი სეირნობა ლატარია-ალეგრით

ალეგრაში ჩაიდება ხელ-საქმე მოსწავლეთა: ნაკერი მუთაქები, ბალიშები, სუფრები, სალფეთქები, კაბები ბავშვებისა და დიდებისა, ნაკერი საცვლები და მრავალი სხვა ნივთი.

**პროჟექტორი**

დაუკრავს სამხედრო მუსიკა და ორკესტრი, ხორო ბ-ნ კავსაძის ლოტბარობით და ტიროლელთა გუნდი, დუდუკი.

სეირნობა დაიწყება ნაშუადღევს 4 საათზე.

შესასვლელი ბილეთი ბაღში და პროჟექტორზე 25 კ., ბავშვებისთვის—15 კ. ალეგრის ბილეთი—25 კ. (3—2

## გახსნა საზაფხულო თეატრისა და ბაღისა.

კვირას, 31 მაისს, 1909 წ. თავად-აზნაურთა საზაფხულო თეატრში და ბაღში ქართ. დრამ. საზოგად. სასარგებლოდ გაიმართება წარმოდგენა და დიდი სეირნობა.

წარმოდგენილი იქნება მხიარული კომედია

## დედის ერთა

1 მოქმედებად ვ. გუნიასი.

ზოგადოება ისხდება ორ მხარეს — საზაფხულო და საზამთრო თეატრებსაში, ხოლო წარმოდგენა გაიმართება შუა სცენაზე. წარმოდგენის შემდეგ სინემატოგრაფი, ნაციონალური ცეკვა, მგოსნების გუნდი ა. კავსაძის ხელმძღვანელობით, გურულთა ხორო და ორ სართულიანი ფერხული. სხვა და სხვა თამაშობა საჩუქრებით. ბაღი მორთული იქნება ბაირაღებითა და განათებული ელექტრონით. კიოსკები, კონფეტი, სერპანტინი და სხვ.

დუდუკი, მესტვირე, სალამური და საზანდარი. საღამოს წესრიგი პროგრამაში იქნება.

ადგილების ფასი 2 მ.-დან 75 კ.-მდე.

დასაწყისი სეირნობისა საღამოს 6 საათზედ. წარმოდგენისა—9 საათზე.

ბაღში შესვლა—30 კ. მოწაფეთათვის—20 კ. ვინც წარმოდგენის ბილეთს იყიდის ბაღში უფასოთ შევა. დრ. საზოგადოების ადმინისტრაცია.

**ქართული თეატრი**

უკანასკნელი გასტროლი ნ. დავითაშვილისა

შაბათს, 30 მაისს ქართულ მსახიობთა ამხანაგობის მიერ წარმოდგენილი იქნება პირველად ქართულ სცენაზე ახალი პიესა ალ. სუმბათაშვილისა.

## წინამძღოლნი

ხუთი ეპიზოდი ცხოვრებიდან.

მონაწილეობას იღებს მთელი დასი. დასაწყისი სწორედ $8\frac{1}{2}$ ს.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

ბილეთები იყიდება თეატრის კასაში. რეჟისორი კ. მესხი.

უკვე დაიბეჭდა ცალკე წიგნად და გასასყიდად დაურიგდათ წიგნის მაღაზიებს

ვასილ ყიფიანის

ორიგინალური ისტორიული დრამა ხუთ მოქმედებად

## სამეგრელოს მთავარი ლევან

ფასი 40 კაპ.

ტფილისს გარედ მცხოვრებთ, ვინც გაზეთ „დროების“ კანტორიდან დაიბარებს წიგნს, გასაგზავნი ფული არ გადახდებათ.

**ექიმი** ქუთაისში ვ. წერეთელი იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფთ. ტფილისის ქუჩა, სადაც კაზაკოვის ქუჩა იწყება, სამსონ აბდუშელიშვილის სახლში, დილით 9—12 ს. და საღამოთი 4—6 ს. (უ)

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სხივურნალობისა მ. გედევანიშვილისა. იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (ნ. 74)

**ექიმი** კბილისა ალ. სოლოღაშვილი იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12. სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი** მ. ს. მუსხელიშვილი იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნი, N 9. (უ)

**ექიმი** ი. ვაშაკიძე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილით 7—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ავჭალის ქუჩა, N 41, სასულიერო სასწავლებლის პირდაპირ. (უ)

**ექიმი** მ. ნ. მელიქიშვილი იღებს ქირურგიულ და ქალების სნეულებათა ავადმყოფებს ყოველ დღე 9—10 საათზე დილით და 4—6 საათზე საღამოთი. ბებუთოვის ქუჩა, N 11. (75—89)

**ექიმი** მ. ლამბაშიძე გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

**ექიმი** კბილისა ნ. რეხილაძე იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი 5—7. ვერა, ოლგას ქუჩა N 25. (უ)

## პეტერბურგის

უნივერსიტეტის ქართულ სამეცნიერო წრის

## გამგეობა

უმორჩილესად სთხოვს იმ პირთ, ვისაც სურს მუშაობა ბიბლიოგრაფიის შედგენაში, მობრძანდნენ დღეს, 30 მაისს, საღამოს ოთხ საათზე ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში მასალების გასანაწილებლად. (მუშაობა შეუძლიან უფროსს კლასის ყველა მოწაფეს, სტუდენტებს და სხვა ახალგაზდებს). წრე.

ახლად გახსნილი

ტფილისის

## კერძო სამკურნალო

გარდან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქ., № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფ. 695.

ე. გ. ფედოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

ვ. დ. ლამბაშიძე—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 12—1 ს. შინაგ. და ბავშ. ავად.

ბ. ა. პოპოვი—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 12—1 ს. ყელისა, ცხვირისა და ყურისა.

გ. მ. მაკაროვი—სამშ. და პარასკ. 1—2 ს. შინაგ. და ბავშვ. ავადმ.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, $11\frac{1}{2}$—$12\frac{1}{2}$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.

ი. გ. გომართელი—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

ვ. ს. მუსხელიშვილი—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 2—3 ს. თვალისა.

**საღამოთი.**

ა. გ. მირზოევი—ყოვ. დღე, კვირ. გარდა, 5—6 ს. შინაგ. და ბავშვ. ავად.

ნ. გ. ჭიჭინაძე—ყოვ. დღე, კვირ. გარდა, 6—7 ს. შინაგ. და ბავშვ. ავად.

მიკროსკოპიული, ქირურგიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ. (წლ.—ნ.—71)

ექიმი

## ა. ნ. დიასამიძე

გადავიდა ახალ სადგომში მოსკოვის ქუჩა, № 4, გაბაშვილის სახლი.

„ნაკადულის“ რედაქციისაგან.

ტფილისის ხელის-მომწერთა საყურადღებოდ აცხადებს, რომ ჟურნალის ფული აღარ გადასცენ რუს დამტარებელს. (3—2)

## ბაღი—რესტორანი ამხ—ბის „იუქანე“-სი

სახაზნოს ქ., ქართველ თავ.-აზნაურთა საზაფხულო თეატრთან. ბაღში ყოველ დღე დღისით 2—4 ს. და საღამ. 9—2 ს. დაუკრავს ორკესტრი ბ-ნ ა. ფალიაშვილის ლოტბარობით.

სადილები: 2 კერძი—60 კ., 3 კერძი—80 კ., 4 კერძი—1 მან. ყოველ გვარ სასმელსასმელზე არის ცალკე „კარტოჩკები“ და „პრეისკურანტები“. ფასები ზომიერია. (10—გაჟ.—4)

მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტ-ფილოლოგს და

## პეტერბურგის უნივ. სტუდენტ-მათემატიკოსს

სურთ აიღონ გაკვეთილები საზაფხულოდ აბასთუმანში.

მოსკოვის ქუჩა. ყანჩელის სახლი, № 20. ავ. ფალავა. (4—4)

## ჭიათურა

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ადგილობრივ განყოფილების წევრად ჩაწერა და საწევრო გადასახადის სამი მანეთის წარდგენა შეიძლება განყოფილების გამგეობის წევრ-ხაზინადარ ირაკლი დეკანოზიშვილთან. (10—5)

## სოფ. ქვიშხეთში

ქირავდება

## აგარაკი ჩიტაძისა

აგარაკი ახალია და შეიცავს ხუთ მშვენიერ ოთახს, სალ ადგილზეა. აგარაკი ქირავდება ძალიან იაფად.

მსურველმა უნდა მიმართოს ვ. სურგულაძეს, ქართულ გიმნაზიაში, ვერაზე. (5—1)


## სახელმწიფო სათათბირო

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

**შეკითხვა რუსთა კავშირის შესახებ.**

27 მაისს სათათბირომ დაათავა შეკითხვის განხილვა, რომელიც შეეხება „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის“ მოქმედებას.

გაბედული სიტყვა წარმოსთქვა მომხსენებელმა ოქტომბრისტმა პროტოპოპოვმა. ეს სიტყვა უფრო შეეფერება მემარცხენეს, ვიდრე ოქტომბრისტს, რომელთა პარტიაც დღემდე ყურ-მოჭრილი მონა იყო მთავრობისა და დღეს ცოტა არიყოს, მარცხნივ იხევს. ორატორმა ჯერ საჭიროდ სცნო, რომ შეკითხვა უსათუოდ მიღებულ იქმნას. მერე სთქვა: მარტო ის, რომ რუსთა კავშირს მებრძოლი რაზმები ჰყავდა და ჰყავს, საკმაოა შეკითხვის მისაღებად. კავშირი თავს მართლულობს—მებრძოლი რაზმებით რევოლიუციას ვებრძოდით. რევოლიუციას თავისი გამომწვევი მიზეზები აქვს. რევოლიუცია შედეგია იმ გულის-წყრომისა და უკმაყოფილებისა, რომელსაც იწვევს თავის დროზე წარდგენილ მოთხოვნილებათა არ აღსრულება (ტაში მარცხნივ). დასასრულ, ორატორმა სთქვა: კამათმა შეკითხვა ვერ დაარღვია; რუსთა კავშირის მოქმედება ბურუსით არის მოცული; ბრალდება, ამ კავშირის წინააღმდეგ წამოყენებული, ვერავინ დაარღვია, ამიტომ შეკითხვა უსათუოდ უნდა მიიღოთ.

მეორე ორატორმა ფეოდოროვმა სთქვა: მე გავიცან „რევოლიუციასთან მებრძოლ კავშირის“ თავმჯდომარე დეზობრი, რომელიც ერთსა და იმავე დროს ამ კავშირის თავმჯდომარეც იყო და საიდუმლო პოლიციის აგენტადაც. როდესაც დეზობრისთან მივედი, იმის ბინაზე ვნახე ორი ყუთი, რევოლვერებით სავსე. დეზობრიმ სთქვა, 600 რევოლვერი უკვე დაურიგე მუშებსაო. დავესწარ კავშირის კრებასაც, რომელზედაც 70 კაცი იყო. როდესაც თავმჯდომარემ დეზობრიმ წინადადება მისცა კრებას, დაებეჭდათ პარტიულ გაზეთ „სოკოლ“-ში წერილი დაბალ აფიცრების ჯამაგირის მომატების შესახებ, უკან მჯდომმა ერთმა მუშამ წამოიძახა: „მუშების მდგომარეობას როდის და გააუმჯობესებთ, ან გლეხებს მიწას როდის მისცემთო“. დეზობრიმ კრება დახურა, უფროსს მუშას უბრძანა, ყველაფერი სუფთად იყოს, თორემ რევოლვერებს წაგართმევთო. აი, ასეთი ამბები ხდებოდა კავშირში.

შემდეგ ილაპარაკეს მემარჯვენე ბერეზოვსკი მეორემ და როდიჩევმა.

როდიჩევის აზრით შეკითხვა მიღებულ უნდა იქნას. სათათბიროს კავშირის მოღვაწეობა კი არ უნდა აინტერესებდეს, არამედ ის, თუ რა თვალით უცქერის მთავრობა ამ მოღვაწეობას. რუსთა კავშირის წევრების და რევოლიუციონერების მიერ ჩადენილ ბოროტ-მოქმედებათა შორის ის განსხვავებაა, რომ პირველთ მცირე სასჯელი ელოდა, უკანასკნელთ კი სამხედრო საველე სასამართლოები ჰხვრეტავდენ. სათათბიროს წინაშე სწორედ ეს საკითხი იყო დაყენებული: როგორ ეპყრობა მთავრობა სხვა და სხვა ბანაკის კაცთა მიერ ჩადენილ ბოროტ-მოქმედებათ. ჩვენ გვეუბნებიან, რომ გერცენშტეინის მკვლელობას კავშირის საბჭოსთან საერთო არაფერი აქვსო. საქმეც იმაშია: რომ გვცოდნოდა ყველა გარემოება, პროკურორს შეკითხვით აღარ მივმართავდით. სწორედ იმიტომ მივმართეთ შეკითხვას, რომ ამ საქმის ვითარება ექვს გვილვიძებს, იმიტომ მივმართეთ რომ, როგორც ნამდვილად ვიცით, მთავრობას მოლაპარაკება ჰქონდა კავშირის რწმუნებულებთან, რომელთაგან ორი კაცი შემდეგ მკვლელობაში ერია. შესაძლებელია აქ საბჭო არაფერ შუაში იყოს, ამ შემთხვევაში მთავრობამ საქმე სავსებით გამოიძიოს ჩვენთვის და მთელი განათლებული კაცობრიობისათვის საჭიროა გადაწყდეს საკითხი: რამდენად ვრცელია გავლენა იმ ორგანიზაციისა, რომელიც ცეცხლის ფრქვევას და ქვეყნის წალეკას იჩემებს; რამდენად ემორჩილება იგი რუსეთის მთავრობის უფლებას. შესაძლებელია ამ ორგანიზაციას განსაკუთრებული უფლებები ჰქონდეს არა მარტო რევოლვერის ტარებისა, არამედ ადამიანის სიცოცხლის მოსპობისაც კი. ჩვენ წინაშე საზარელი საკითხია: ჩვენი მთავრობა წარმოადგენს იმ ძალას, რომელიც წესიერებას და უფლებას იცავს, ან იმ ძალას, რომელიც სამოქალაქო ბრძოლისათვის ამხედრებს ხალხს? შეკითხვა უნდა მიღებულ იქნას. (ტაში მემარცხენეებისა და ცენტრის ერთი ნაწილისა).

ჩხეიძემ სთქვა, რომ რუსეთის ხალხის კავშირი პოლიტიკური პარტიაა, რუსეთის თავად-აზნაურობის იმ ნაწილის ინტერესების დამცველი, რომელიც შესაწვავ ბატებს მოაგონებს კაცს. ჩვენ ბატებს მხოლოდ გახრწნის უნარი აქვთ და არც ერთი სახელმწიფო ფუნქციის შესრულება არ შეუძლიათ.

თავმჯდომარემ შენიშნა, რომ ეს სიტყვები შეკითხვას სრულებით არ შეეხება.

ჩხეიძემ განაგრძო და სთქვა, რომ რუსეთის ხალხის კავშირს არა აქვს ფართო ასპარეზი მოქმედებისათვის და ძალაუნებურად მიმალულმა ზურგს უკანიდან უნდა იბრძოლოს. კავშირს რევოლიუციამ ის ადგილი მიუჩინა, სადაც გროვდება რუსეთის ცხოვრების მთელი ნაგავიო.

კამათი გათავდა და შეუდგნენ კენჭის ყრას.

სათათბირომ 131 ხმით წინააღმდეგ 87 ხმისა შეკითხვა მიიღო. შეკითხვის წინააღმდეგნი იყვნენ უკიდურესი მემარჯვენენი, ზომიერი მემარჯვენენი და რამდენიმე ოქტომბრისტი.

**წვრილმანი კანონ-პროექტები.**

28 მაისის სხდომაზე სათათბირომ მიიღო 15-მდე წვრილმანი კანონ-პროექტი. საინტერესო იყო შემდეგი კანონ-პროექტები: 1. სასკოლო შენობების ასაგებად ფონდის შედგენა (მომავალ წლიდან უნდა გადაიდოს ექვს-ექვსი მილიონი); 2: სახალხო განათლებისათვის დამატებით ექვს მილიონ მანეთის გადადება; 3: სამრევლო-საეკლესიო სკოლის მასწავლებელთათვის ჯამაგირის მოსამატებლად 4,003,740 მანეთის გადადება; 5: ქალაქისა და სოფლის სამღვდელოების შესანახ ხარჯის გასადიდებლად 500,000 მანეთის გადადება.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

გაზ. „ნოვ. ვრ.“ არა-კეთილსაიმედო ხალხს უმაღლეს წრეებში ეძებს, რადგან დაბალი წრეები უკვე კარგად შეუსწავლია და, სადაც ჯერ არს, დაუბეზღებია. „ნოვ. ვრ.“-ს მრისხანე ლახტის ცემისაგან ვერ დაიცავს დღეს ადამიანს ვერც მსუქანი „ეპოლეტები“ და ვერც „ჯვარ-მედლებით“ მოკირწყლული გენერლის გული. მაგალითად, ამ გაზეთმა არა-კეთილსაიმედოდ გამოაცხადა.

სახელმწიფო საბჭოს მუდმივი კომისია, მუდამ წოდებული კომისია საკანონმდებლო განზრახულებათა, რომელსაც თავჯდომარეობს მისი უდიდებულესობის სტატს-სეკრეტარი საბუროვი I.

„ნოვ. ვრ.“-ს სავსებით ეთანხმება გაზ. „რუსკ. ზნამია“ და თავის მხრივ ეძებს სახელმწიფოს ღალატს პეტერბურგის სამეცნიერო აკადემიაში, სადაც მან აღმოაჩინა პოეტი რევოლიუციონერი პ. ი. „ამავე აკადემიის წევრებად ითვლებიანო,“—ჰყვირის გაზეთი:—მ. გორკი და ვ. კოროლენკო, ყოფილი სოციალ-დემოკრატი და დღეს ანარქისტი და ეს-ერების მამამთავარიო“.

შავ-რაზმელი ორგანო აკადემიიდან საუკეთესო მწერლების გაძევებას და იქ სამხედრო ვარჯიშის გამართვას მოითხოვს, რასაკვირველია.

* *
*

კამათი სარწმუნოების თავისუფლების შესახებ სათათბიროდან პრესაში გადავიდა. საგანი ნათელი და აშკარაა. თვითეულ ადამიანს ბუნებრივი უფლება აქვს ღმერთი თავის სინიდისის თანახმად იწამოს. ეს ჭეშმარიტება თვით ბ-ნ მენშიკოვსაც სწამს, მაგრამ თავისებურ ვერაგულად. აი როგორ მსჯელობს იგი ამ საგნის შესახებ:

> თუ ადამიანმა თავის წინაპართა სარწმუნოება უარჰყო, სახელმწიფოს მოვალეობაა მხოლოდ აღნიშნოს ეს სამწუხარო ფაქტი, სწორედ იმგვარად, როგორც აღნიშნავენ ადამიანის გაკოტრებას, ჭკუიდან შეშლას ან სიკვდილს.

ამგვარად, სასიქადულო შავ-რაზმელ მწერლის თვალში ის სარწმუნოება, რომელიც სახელმწიფოს მიერ არის აღიარებული—უმაღლესი ჭეშმარიტებაა, რადგან ძლევა-მოსილი წყობილება თავის დღეში არა სტყუის სარწმუნოების საქმეში.

> თუ სახელმწიფოს არ ძალ-უძს ჩაუნერგოს ადამიანს ჭეშმარიტი რწმენა, განაგრძობს მენშიკოვი,—ამ უკანასკნელის ყალბ რწმენას უნდა შეურიგდეს. სარწმუნოება—წმინდა საგანია, როგორც გენიოსობა, როგორც სიყვარული. ეკლესიის ადგილას მე ხრულ თავისუფლებას მივანიჭებდი ხალხს ერთ სარწმუნოებიდან მეორეში გადასვლისას, ხოლო არ უარვყოფდი ეკლესიის ძველ მეთოდს. მორწმუნე ეპისკოპოსი რომ ვიყო, სარწმუნოების მოღალატეს არას გზით არ მოვასვენებ: ჩაგონებით, განუწყვეტელის სჯა-ბაასით დავუმტკიცებ, რომ ძველი სარწმუნოება უმაღლეს ზნეობრივ მშვენიერებითაა მოსილი. ნათლად დავანახვებ, რომ ყოველნაირი უპირატესობა აქვს ძველ ნაციონალურ სარწმუნოებას და ამ სარწმუნოების ფარგალში ისე გაუმწარებ საქმეს სარწმუნოების მოღალატეს, რომ იგი ბოლოს და ბოლოს ან გარედ გამომაგდებს, ან ჩემ საბუთებს იწამებს.

როგორც ვხედავთ, მენშიკოვი გაქვავებულ სახელმწიფოს სარწმუნოების ქომაგია. იმან თითქო არ იცის, რომ ადამიანის უმაღლესმა ნიჭმა, მსჯელობის, კრიტიკის უნარმა უძველეს დროიდან წარმატების გზაზე დააყენა იგი, არ დააკმაყოფილა იმ რწმენით, რომელსაც სახელმწიფო აღიარებს. ამ თავისუფალი კრიტიკის შედეგი ყოფილა ყოველთვის განახლებული, გაწმენდილი სარწმუნოება, რომელსაც სახელმწიფო ყოველთვის სდევნიდა.

მენშიკოვი მეტის მეტად გულ-კეთილი პუბლიცისტია. აი როგორი საშუალება მიაჩნია მას სასიკეთო ძველ სარწმუნოებიდან გადამდგარ ადამიანის მოსარჯულებლად:

> მეტად ძნელი საქმეა ადამიანის მორჯულება, ჭეშმარიტების ჩაგონება, ამბობს იგი: ამიტომ მე მივმართავდი ძველ საშუალებას, ეკლესიიდან გარიცხვას, ანათემას და სხვა. როგორ ფიქრობთ? ამას ღრმა მნიშვნელობა ჰქონდა. შენ უარჰყოფ ძველთა სარწმუნოებას? მაშ იცოდე, რომ იგიც შენ უარგყოფს! შენ ჰკიცხე იგი? იცოდე, რომ იგიც გაგკიცხავს! არ იწამე იგი? იცოდე, რომ იმანაც არ გიწამა შენ! ეკლესიიდან გარიცხვა-გაძევებას, ისეთ სამინელსაც, როგორიც იყო ებრაელების ფილოსოფოსის სპინოზის გარიცხვა, ფსიხოლოგიური საფუძველი ჰქონდა.

მენშიკოვი, როგორც მეტის მეტად გულ-კეთილი პუბლიცისტი, წინააღმდეგია იმისი, რომ სახელმწიფო ძალამ ძლიერს სარწმუნოებიდან გადამდგარი ადამიანი დასაჯოს. ამ დასჯის უფლებას იგი ხალხს, საზოგადოებას ანიჭებს. ყველამ კარგად ვიცით, რომ გარისხვა-ანათემა საზარელი წყევლა-კრულვაა, რომელიც ამხედრებს ხალხს გარისხულ ადამიანის წინააღმდეგ, სიძულვილს, მტრობას უღვიძებს გულში ამ ადამიანის მიმართ.

ბოლოს და ბოლოს ბ-ნი მენშიკოვი ახირებულ რწმენის თავისუფლების ქომაგია. იმას თამამად შეუძლიან წამოიძახოს: გაუმარჯოს თავისუფლებას... მართლმადიდებელ სახელმწიფო ეკკლესიის ფარგალშიო.

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

29 მაისი

## ო ს მ ა ლ ე თ ი

**სტამბოლი.** ოსმალეთის ფლოტის ორი ჯავშნიანი გემი, ორი კრეისერი, 4 კანონერკა, 5 კონტრ-ნაღმოსანი, 15 ნაღმოსანი, ერთი ნაღმოსანი კრეისერი და რამდენიმე სატრანსპორტო გემი იკრიბება პრინცის კუნძულებთან. ეს ფლოტი აქედან ადმირალ კემბლის უფროსობით წავა ისმიდში. მიდის აქედან ხმელთაშუა ზღვაში და როგორც ამბობენ, კუნძულ კრიტოსის ნაპირებთან გაჩერდება.

**სტამბოლი.** დაკეტეს ორი სომხური გაზეთი.

ქალაქის თვითმართველობას მოლაპარაკება აქვს ოსმალეთისა და დოიტშეს ბანკებთან. ქალაქს უნდა ქალაქის გასამშვენიერებლად ერთი მილიონი გირვანქა აიღოს სესხად.

ადანაში მომხდარ ხოცვა-ჟლეტის გამო აქნობამდის დააპატიმრეს 377 მაჰმადიანი და 152 ქრისტიანი. დამნაშავეთა დაპატიმრება არ შეწყვეტილა.

## ს პ ა რ ს ე თ ი

**თავრიზი.** რადგან შეუძლებელი იყო ურმიის ტბაზე ცხენების გადაყვანა, რომ ურმიის საკონსულოს ცხენოსანი დამცველები გაეძლიერებინათ, ამიტომ ურმიაში გაიგზავნა 40 ქვეითა სალდათი და ერთი აფიცერი.

## საზღვარ-გარეთ.

**ვენა.** საბიუჯეტო კომისიამ დაასრულა ბიუჯეტის განხილვა. ბიუჯეტში კომისიას ცვლილება არ შეუტანია. მინისტრ-პრეზიდენტმა ფონბინერტმა განაცხადა, საჭიროა რაც შეიძლება ჩქარა დავდოთ სავაჭრო ხელშეკრულობანი ბალკანეთის სახელმწიფოებთანაო.

**მარსელი.** მეზღვაურებმა დაადგინეს, მიმართონ მინისტრს, რომ მან მოიწვიოს უმაღლესი საზღვაო საბჭო, რომელიც გაარჩევს მეზღვაურთა და გემის პატრონების საქმეს. ამ საბჭოს გადაწყვეტილება მინისტრმა საჩქაროდ უნდა დაამტკიცოს.

გუშინ დაიწყო ავტომობილების გაჯიბრება ბრესლავლ-ბუდაპეშტ-ვენა-მიუნხენს შორის. მონაწილეობას იღებს 109 ავტომობილი.

**ნიუ-იორკი.** ზოგიერთი ბანკი და სავაჭრო სახლი ჩინეთში აგენტებს ჰგზავნის. აგენტებმა უნდა გამოიკვლიონ რანაირი ქარხნები შეიძლება დაარსდეს ჩინეთში. ბანკების და სავაჭრო სახლების სინდიკატების აზრია დააარსოს ბანკები, რკინის გზების გასაყვანად სესხად მისცეს ფული და გასცეს სესხი.

**ლონდონი.** დეპუტატთა პალატის შეკითხვაზე გრეიმ განაცხადა: ხელმწიფე-იმპერატორს აზრადა აქვს შერბურგის შემდეგ, სადაც ფალიერს ინახულებს, გაემგზავროს კოუსში, სადაც ინგლისის მეფეს შეჰხვდებაო. რუსეთის მეფეს განზრახვა აქვს ინახულოს იტალიის მეფეც. არ ვიციო, განაცხადა გრეიმ, ხელმწიფე იმპერატორს სტოლიპინი ახლდება თან თუ არაო. რაც შეეხება იმას, დაესწრება გრეი თუ არა მეფეების შეხვედრას, გრეიმ სთქვა, ამაზე ჯერ ვერაფერს ვიტყვი მანამდე, სანამ შეხვედრის დრო დანამდვილებით არ გამოირკვევაო.

**რომი.** მეფემ მიიღო ოსმალეთის საგანგებო დესპანი, რომელმაც გადასცა მეფეს, რომ ოსმალეთის ტახტზე ახალი სულთანი მაჰმედ მეხუთე ავიდაო.

**ბუდაპეშტი.** დამოუკიდებელ პარტიის მოქმედებამ უფრო გააძწვავა მთავრობის კრიზისი. ვეკერლე ამ დღეებში წავა ვენაში. ხმა დადის, რომ დროებითი სამინისტრო შემოდგომამდის დარჩებაო.

**დრეზდენი.** სასამართლომ დაამთავრა განხილვა რუს სტუდენტების საქმისა, რომელთაც ჰბრალდებოდათ საიდუმლო საზოგადოებაში მონაწილეობის მიღება. სასამართლომ გადაუწყვიტა ორს—ორ-ორი თვით სატუსაღო, ერთს—ერთი თვით, ორს—ექვს-ექვსი კვირით; დანარჩენნი გაამართლა. ყველა ბრალდებული გაანთავისუფლეს, რადგან მათ წინადვე უკვე მოიხადეს ეს სასჯელი.

## რ უ ს ე თ ი

**ოდესსა.** რადგან ამ ბოლო დროს ძალიან გახშირდა თავის მკვლელობა მოსწავლეთა შორის, ოდესის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა განკარგულება მოახდინა, რომ სასწავლებლების უფროსებმა მიიღონ ზომები და თავის მკვლელთა შინაურ და სასწავლებელში მდგომარეობის გარდა, გამოიძიონ ხოლმე ნამდვილი მიზეზები თვით-მკვლელობისა.

**კიევი.** სრულიად რუსეთის ფერშალთა კრების საორგანიზაციო ბიურომ, რომელიც 10 ივნისს გაიხსნება, 60 მოხსენება მიიღო. კრება 17 ივნისამდის გასტანს. 11 ივნისს კრება შეეხება საფერშლო სკოლების რეფორმას.

**მოსკოვი.** ნაშუადღევის 1 საათზე მოსკოვში ნიაღვარმა მთლად წალეკა დაბლობი ადგილები.

**პეტერბურგი.** ქალაქში დღე-ღამის განმავლობაში ხოლერით ავად გახდა 9, გარდაიცვალა 4 კაცი.

**ეკატერინოსლავი.** ქ. ბახმუტში შეიპყრეს კატორგიდან გამოქცეული მატროსი მედვედევი, რომელიც მონაწილეობას იღებდა ჯავშნიან გემს „როსტისლავზე" მომხდარ აჯანყებაში.

**კრასნოიარსკი.** მცარცვავთა ბრბოს დევნის დროს მოჰკლეს ერთი სტრაჟნიკი. მკვლელი შეიპყრეს.

**პეტერბურგი.** ოსმალეთის საგანგებო მისია დღეს წავიდა ახალს პეტერგოფში. პეტერგოფის სადგურზე მისსიას დაჰხვდა სადღესასწაულო ეტლები. თევთიკ-ფაშა და ცერემონმეისტერი ჩასხდნენ ექვს ცხენიან ეტლში, დანარჩენნი—ორს სხვა სადღესასწაულო ოთხცხენიან ეტლებში. მისსიამ კარის-კაცთა თანადასწრებით გაიარა დიდი ზალები პეტერგოფის სასახლისა. როდესაც პარტრეტნი ზალაში მიდიოდნენ, თევთიკ-ფაშას ლეიბ-გვარდიის კონნოგრენადერის პოლკის ყარაულმა სალამი მისცა. შემდეგ ზალაში მისსიას მიეგება გარეშე საქმეთა მინისტრი, ახლად დანიშნული ელჩი სტამბულში ჩარიკოვი და მოერიგე პირნი ხელმწიფე იმპერატორთან. საათის პირველზე თევთიკ-ფაშა ხელმწიფეს წარუდგა. აუდენციის გათავების შემდეგ თევთიკ-ფაშამ წარუდგინა ხელმწიფეს თავისი ამალა. შემდეგ პეტრეს ზალაში მისია მიიწვიეს უმაღლეს საუზმეზე. ხელმწიფე-იმპერატორის მარჯვნივ იჯდა თევთიკ-ფაშა, ზედ ჰქონდა ახლად ნაბოძები ალექსანდრე ნეველის ბრილიანტებით შემკული ორდენი. 3 საათზე იმავე ცერემონიით მისია უკან დაბრუნდა.

**პეტერბურგი.** მთავარ სამხედრო სასამართლომ უყურადღებოდ დასტოვა საკასაციო საჩივარი 92 დასჯილისა, რომელთაც ჰბრალდებოდათ ეკატერინის რკინის გზის დაჭერა და ჯარზე თავდასხმა.

# ბ-ნ ი. ჯავახიშვილის ლექცია

ცირკში, პროჟექტორებში და მყვირალა ლექტორების ლექციებზე ჩვენში აურაცხელ ხალხსა ჰნახავ, ხოლო თუ წელიწადში ერთხელ მაინც ბედვი გვეწია და ნამდვილმა მეცნიერმა ინება ჩვენი განსწავლა,—თქვენც არ მომიკვდეთ, მკითხველო, ჩვენმა საზოგადოებამ თავი არ აიტკინოს! განსაკუთრებით, თუ საქართველოსა და მის წარსულ ისტორიას და კულტურას შეეხება მეცნიერის კვლევა, მაშინ ხომ გულში ყველა ჰფიქრობს—ეს რა საჭიროაო, და თუ კეთილ-ინება და ლექციაზე მობრძანდა, ძილის მეტს რას გააკეთებს! მალე მოსწყინდება, რადგან მშრალი მეცნიერება არც მის გონებას და არც მის გულს არაფერს ეუბნება. დროც ისეთია, რომ ჩვენ საზოგადოებას ეხლა რაღაც დეკადენტური სიმახინჯე თუ არ მიაწოდე, ან თუ უცნაური გრძნობები არ აღუგზენი,—ზედაც არ შემოგხედავს.

ამიტომაც ბ-ნ ჯავახიშვილის ლექციებზე, რომლის საგანი ფრიად და ფრიად საინტერესო იყო,—ქართულ სამართლის ისტორია,—ძლიერ ცოტა ხალხი დაესწრო. მეორეზე მაინც, ხუთშაბათს, თითქმის სულ არავინ იყო, რამდენიმე მოხუცისა და ახალგაზდას გარდა.

ბ-ნი ჯავახიშვილი ნამდვილი, წმინდა მეცნიერის ტიპია. იგი ნამდვილი მათემატიკოსია თავის მეცნიერებაში. მისი კრიტიკა ისტორიულ ნაშთებისა, საბუთებისა და ცნობებისა ისეთი ულმობელი, ღრმა, სწორი და ცივია, რომ რვა საათის განმავლობაში ვუსმენდი ყური და არ მახსოვს, რომ ერთი მეტი სიტყვა წამოსცდენოდეს უსაბუთოდ, ან რაიმე გატაცებულ ჰიპოტეზებით შეემკოს საერთო სურათი და პერსპექტივა ჩვენი სამართლის განვითარების მიმდინარეობისა საუკუნოთა განმავლობაში. ამიტომ, რასაკვირველია, საზოგადოებას ლექტორი მოსაწყენად ეჩვენება, ნამდვილად კი იგი მეცნიერია, ნამდვილი მეცნიერი, რომელსაც თავისი მსჯელობა მიუჩვევია სასტიკ დისციპლინას და ამასთანავე ისეთი ისტორიულ კრიტიკის მეთოდი შეუმუშავებია, რომლითაც იგი ჰპოულობს მაქსიმუმს შეურყეველ ჭეშმარიტებათა და მინიმუმს სათუო ფაქტთა. ასეთის მათემატიკურის სისწორით როცა მსჯელობს მეცნიერი, რასაკვირველია, საზოგადოებისათვის უფრო მძიმეა მისი მოსმენა, ვიდრე რომელიმე „მოლაპარაკე" ლექტორისა, რომელსაც მეცნიერებასთან არავითარი კავშირი არა აქვს, და არც მაინცა და მაინც აინტერესებს მეცნიერულ ახალ ჭეშმარიტებათა კვლევა.

მიუხედავად ასეთის ხასიათისა, ბ-ნი ჯავახიშვილი წმინდა ერუდიტი მაინც არ არის, როგორც მეორე ჩვენი მეცნიერი ბ-ნი ე. თაყაიშვილი. ბ. ჯავახიშვილი თანაც ისტორიკოსია, რომელსაც შეუძლია წარმოიდგინოს მთელი ერის ისტორიის საერთო სურათი, ან დაახასიათოს რომელიმე ეპოქის ვითარება, აღწეროს ერის სოციალურ ცხოვრების ყველა დარგი მთელის ისტორიის განმავლობაში, აღნიშნოს მიზეზნი მათის წარმოშობისა, განვითარებისა და დაცემისა, შექმნას საზოგადო და კერძოდ რომელიმე ერის ცხოვრებაში აღმოცენებულ სოციალურ და ისტორიულ მოვლენათა თეორიები.

თუ ბ-ნ ჯავახიშვილს ბედმა არგუნა ერთად ერუდიტიც იყოს და მეცნიერი-ისტორიკოსიც, ეს იმითი აიხსნება, რომ ჩვენში ისტორიის შესწავლის შრომის განაწილება არ არსებობს, როგორც რიგია,—არა გვყავან მუყაითი მშრომელნი, რომელთაც ჰქონდეთ, განაწილებული სხვა და სხვა დარგი ისტორიის კვლევისა და საერთო შრომით ჰქმნიდნენ საქართველოს მეცნიერულ ისტორიას. ჩვენში თითქმის ყველა იძულებულია მეცნიერიც იყოს და წმინდა ერუდიტიც, აგრეთვე საეკკლესიო ისტორიასაც უნდა სწავლობდეს სპეციალურად და ეკონომიურსაც, ლიტერატურასაც უნდა იკვლევდეს სპეციალურად და სამართალსაც, ლინგვისტიც უნდა იყოს და ისტორიკოსიც! რასაკვირველია ერთსა და იმავე პირს ყოველივე ესე ერთად არ ძალ-უძს, და ამიტომაც ფერხდება ძლიერ ჩვენი ისტორიის მეცნიერული შემუშავება. ვინც ოდნავ მაინც ახერხებს ასეთ ყოველ-მხრივ მუშაობის აღსრულებას, იგი იღებს მხოლოდ სანატრელ ნაყოფს, აგრეთვე ვისაც მოუხერხებია თავის შეზღუდვა და ერთ რომელიმე საგნის კვლევა. დანარჩენები კი, ყველამ ვიცით, რა ფასის ისტორიკოსები და მეცნიერებიც არიან!

ბ-ნი ი. ჯავახიშვილი პირველ კატეგორიის ტიპია. ჩაუკიდნია ხელი ჩვენი ხანგრძლივ სოციალურ ცხოვრების ყველა დარგის კვლევისათვის, მაგრამ საგნის სიდიდეს მისთვის სრულიადაც ვერ წაურთმევია მეცნიერის კეთილ-სინიდისიერება და სიდინჯე, გამჭრიახობა და სურვილი მოვლენათა დაწვრილებითი ანალიზისა, როგორც ეს ხშირად ემართებათ მეცნიერებს ძასალათა და საგანთა სიუხვისაგან, და ზერელე „ზოგადობაზე" სცურავენ ხოლმე. ამიტომაც ბ-ნი ი. ჯავახიშვილი ასწავლის და არა „ორატორობს". ვისაც სწავლა უნდა, მხოლოდ ის მივიდეს ხოლმე მის ლექციებზე, „საორატოროდ" კი არა მგონია ძას სცალოდეს, ან ეინტერესებოდეს იგი. იგი ამასთანავე არც ისე კვია, როგორც ბევრსა ჰგონია. აბა დაუკვირდით შინაარსს, თუ რამე ცივი ჰნახოთ! მხოლოდ ლაპარაკის მანერას შეჰყავს შეცდომაში მსმენლები.

ფრიად საინტერესო საგანი ამოერჩია ბ-ნ ჯავახიშვილს წარსულ ლექციებისათვის: „ქართულ სამართლის ისტორია". მან, როგორც ისტორიკოსმა ძლიერ კარგად იცის, რომ ისეთ განვითარებულ სოციალურ ორგანიზმს, როგორსაც წარმოადგენდა საქართველო განსაკუთრებით აყვავების დროს, არ შეიძლება არა ჰქონოდა სრულიად განვითარებული და ზრდადამთავრებული სამართალი, რომლის ფუნქციებიც [illegible] განსაზღვრული. და მიუხედავად იმისა, რომ [illegible] ბი, რომელთაც ფართოდ და მეცნიერულად ეკვლიათ წარსული ცხოვრება ჩვენის სამართლისა, მას თვით შეუსწავლია პირველი წყაროები ჩვენის სამართლისა და ამგვარად წარმოუდგენია სრული სურათი საქართველოს სამართლისა წარსულში: განუხილავს კრიტიკულად ბექასა და აღბუღას სასამართლო წიგნები და აღმოუჩენია იქ ბაგრატ კურაპალატის სასამართლო წიგნი მეცხრე საუკუნისა, რომელიც შემდეგ შესულა ათაბაგების სასამართლო წიგნში მეთოთხმეტე და მეთუთხმეტე საუკუნეთა; განუხილავს ბ-ნ ე. თაყაიშვილისაგან ახლად აღმოჩენილი სასამართლო წიგნი, რომელიც მეცამეტე საუკუნეს უნდა ეკუთვნოდეს; გიორგი ბრწყინვალის ძეგლის დადება, მთიულთათვის შედგენილი, მეთოთხმეტე საუკუნისა; ბექასი და აღბუღას სამართალი, მეთოთხმეტე და მეხუთმეტე საუკუნოებისა;—ვახტანგ მეექვსის სასამართლო წიგნი მეთვრამეტე საუკუნისა, იმავე დროის „დასტურლამალი", იოანე და დავით ბატონიშვილების სამართლის წიგნები, და აგრეთვე აურაცხელი ძეგლი, სიგელ-გუჯარი, განაჩენი, ადერძი და დოკუმენტი—საეკლესიო კრებათა სასამართლოს დადგენილებათა,—და აგრეთვე სხვა თხზულებანი, სადაც კი მოიპოვება რაიმე ცნობა ქართულ სამართლის შესახებ.

ყველა ამ მასალის განხილვითა და სასტიკის კრიტიკით იგი აღადგენს ჩვენი სამართლის თითქმის სრულ სურათს უძველეს დროიდან.

შემუშავებულ სამართალს, რასაკვირველია, სწორი და მკვეთრი ტერმინები უნდა ჰქონოდა. ესეც, რასაკვირველია, ყოფილა ქართულ სამართალში და ლექტორმაც განმარტა ეს ტერმინები. დღეს თითქმის აღარავის აღარ ესმის იგი, თვით სახელწოდება სამართლისა შერყვნილია. დღეს მას „უფლებას" ვეძახით, რაიცა შეუწყნარებელია, რადგანაც სამართალია საერთო სახელწოდება „jus"-ისა, „Recht"-ისა, „Право"-სი. მაგალითად, რუსულ Угаловное право-ს რომ „სისხლის უფლება" ვუწოდოთ—სრული აბსურდი იქნება. ძას ეწოდებოდა ნამდვილად „სისხლის სამართალი" და ეხლაც ეწოდება.

საინტერესო იყო მაშინდელი ფილოსოფიური მსჯელობა სამართლის წარმოშობაზე,—თუ როგორი ორმაგი ხასიათის იყო საზოგადოდ მსოფლიო თუ რათ მისცა ღმერთმა კაცს „სჯული ბუნებითი", უარყოფილი მისგან, და შემდეგ კი უკვე „დაწერილი სჯული" და სხვ. B.

(დასასრული იქნება)

# აღმოსავლეთის მუსიკა

**სპარსული, სომხური, ქართული სიმღერები.**[*]).

არსენ კორეშჩენკოსი.

## 1.

მრავალ წლის განმავლობაში ვსწავლობდი აღმოსავლეთის ხალხთა ვოკალურ მუსიკასა და ნაყოფი ჩემის შრომისა ცოტად მინდა გავაცნო მკითხველსაც ამ წერილში. წინად ამ საკითხზედ ცოტა რამე ვსთქვი მოსკოვის ერთს პერიოდულ გამოცემაში („მოსკოვსკი ვედომოსტი", №№ 321, 322, 1897 წ.). ჩემს წერილში, სახელდობრ „აღმოსავლეთის მუსიკა"-ში, სამ ხალხს ვეხებოდი—სპარსელებს, სომხებსა და ქართველებს, რომელნიც ურთი-ერთისაგან ფრიად განირჩევიან ხასიათითა, მაგრამ კავშირიც აქვთ ურთიერთ შორის გეოგრაფიულის მხრითა.

საზოგადო პრესაში იმიტომ შევეხე ამ წმინდა სპეციალურ საკითხებს, რომ ამავე პრესსისაგან მათ შესახებ გავრცელებულ ჰორების სიყალბე ოდნავ მაინც დამემტკიცებია.

ამ რამდენიმე თვის წინად აი რასა სწერდა პეტერბურგის ერთი დიდი გაზეთი აღმოსავლეთის მუსიკაზე: „მხოლოდ სპარსული შთამომავლობის მუსიკა, ან ის მუსიკა, რომელსაც იმის გავლენის ნიშნები ეტყობა, არის რაიმე ღირებულების მქონე. ეს მუსიკა არის კლასსიკური მუსიკა აზიის მთელ სამხრეთ-დასავლეთში, კავკასიიდან დაწყებული ინდის ნაპირებამდე. („ნოვოე ვრემია", 1897 წ. 12 მაისი, № 7616).

ამაში პატივცემული ორგანო დაარწმუნეს ვილაც „ადგილობრივმა მცოდნეებმა". საუბედუროდ, არა მარტო საზოგადო პრესსამ, არამედ მცოდნე მუსიკოსებმაც კი არ იცოდენ და ეხლაც არ იციან, რომ სრულიად ყალბად უნდა ჩაითვალოს ის აზრი, ვითომც მარტო სპარსული მუსიკა იყოს აღმოსავლეთის მუსიკა. მიზეზი ამისი ის არის, რომ მრავალი თხზულება იწერება სპარსულ მელოდიათა გავლენითა; აგრეთვე უმეტესმა ნაწილმა ჩვენ კომპოზიტორთა სრულიად არა იცის რა აღმოსავლეთის სხვა ხალხთა მუსიკისა. კომპოზიტორებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს სპარსულ მუსიკას, რომელიც მათ ანცვიფრებდა უცნაური ინტერვალებითა, ორიგინალობითა და რითმითა. სპარსულ მუსიკაში უფრო ადვილი შესამჩნევი იყო ინტერვალი გაძლიერებულ სეკუნდისა და თავისებური ქრომატიზმი. ამან წარმოშობა ბევრი საკვირველი ჰარმონიული კომბინაცია, რომელიც მემკვიდრეობით გადადიოდა ერთ ევროპიელ კომპოზიტორიდან მეორეზედ. ეს ჰარმონიული კომბინაციები, რომელმაც უკვე შაბლონური ხასიათი მიიღო, შეცდომით გამოიყენეს არა მარტო ისეთ სიმღერათა შემუშავების დროს, რომელთაც ჰქონდათ სპარსული ხასიათი ან ნიშნები სპარსული მუსიკის გავლენისა, არამედ ისეთ სიმღერათა შემუშავების დროსაც, რომელთაც არაფერი საერთო არა ჰქონდათ-რა ამ კომბინაციებთან, როგორც მაგალითად ქართულ სიმღერებსა. ხან და ხან ისიც მოხდება, რომ მცოდნე მუსიკოსებიც კი შესცდებიან ხოლმე ამ ერთხელვე გავრცელებული აზრის შეთვისების წყალობითა. (მაგ. იხილე „ეთნოგრაფიული კონცერტი". კრებული რუსულ და უცხო სიმღერათა, გადაღებული ნ. ს. კლენოვსკის მიერ. აქ ქართულ სიმღერებისათვის, „ფაცხისათვისა" და „მერცხალისათვის", რომელნიც სწორედ არიან ჩაწერილნი და რომელთაც წმინდა დიატონიური ხასიათი აქვთ, საუბედუროდ სულ ტყუილად მიუმატებიათ შესავალები და დასკვნანი სპარსული წესისა). მაგრამ ამას ჩვენ ვერ დავეთანხმებით, რადგანაც, საზოგადო პრესსა, საზოგადოება და ბევრი მცოდნე მუსიკოსიც კი სტყუვდება და თვით ადგილობრივ ჩაწერილი აღმოსავლეთური ხალხური მელოდიაც არ მიაჩნია აღმოსავლეთურად, თუ მას ნამდვილი ნიშნები არა აქვს სპარსული მელოდიისა.

მე 6 წელიწადი მოვანდომე სპარსულ, სომხურ და ქართულ მუსიკის შესწავლას, წარსულ ზაფხულსა და შემოდგომაზე ვიყავი ამიერ-კავკასიის შორეულ კუთხეებში და ამიტომაც ჩემ მოვალეობად მიმაჩნია ნაყოფი ჩემის შრომისა გავუზიარო მუსიკის მცოდნეთა და მოყვარულთა, რათა ცოტათი მაინც მოვსტეხო კბილი ზემოხსენებულ ყალბ აზრს, რომელიც შეუდგენიათ ბევრს უცხოელსა და რუს მუსიკოსებს აღმოსავლეთის მუსიკის შესახებ. მარტო სპარსული მიაჩნიათ ამ უკანასკნელებს აღმოსავლეთის მუსიკად. ჩემი აზრი კი სრულიად ეწინააღმდეგება მათ რწმენასა და სრულიადაც არ ანიჭებს კლასსიკურ მნიშვნელობას სპარსულს მუსიკასა მთელს აღმოსავლეთში.

კავკასიონის მთის იქითა მხარის ხალხთა მუსიკალური შემოქმედება დიდია. შესწავლა ამ შემოქმედებისა გვარწმუნებს, რომ ეს ხალხური სიმდიდრე დიდია, დაუშრეტელი, ფრიად საყურადღებო; იგი ღირსია შემუშავებისა; მას შეუძლია სრულიად ახალი გზა უჩვენოს საზოგადოდ მუსიკალურ ხელოვნებასა. მე აქ სახეში მაქვს ქართველთა ვოკალური ხალხური მუსიკა, რომელსაც განსაკუთრებული, განცალკევებული ადგილი უჭირავს აღმოსავლეთის მუსიკათა შორის.

## 2.

ორი გვარისაა აღმოსავლეთის ხალხური ვოკალური მუსიკა: 1) ერთხმოვანი, მაგ. სპარსული და სომხური, და 2) მრავალხმოვანი, მაგ. ქართული.

სხვა და სხვა ტომთა ხალხურ სიმღერების შედარებითი სწავლა ერთ ფრიად საინტერესო დასკვნაზედ გვაყენებს: მაშინ როდესაც ქრისტიან ხალხთა სიმღერები მრავალ-ხმოვანია, სხვა სჯულის ხალხთა სიმღერები პირველ-ყოფილ მდგომარეობაში დარჩენილა. ისინი ერთხმოვანებია, არც კი განიყოფებიან მარტივ მრავალ ხმადაც:—ჰარმონიად, ეგრედ წოდებულ „მოძახილებად",—რომელიც იგივე უმთავრესი მელოდიაა პირველ ხმისა, მხოლოდ ოდნავ შეცვლი სხვა ხმებში, შემუშავებული ხალხის ხელოვნური გრძნობისაგან, რომელსაც არ ესიამოვნება არა-კეთილ-ხმოვანი ამოძახილნი.

არა-ქრისტიან ხალხთა სიმღერები (სპარსთა, არაბთა, ეგვიპტელთა და სხვათა) ერთხმოვანია, შეიძლება იმიტომ, რომ მათ არა ჰქონიათ ის გრძნობის სიღრმე, რომელმაც ქრისტიანთა სიმღერები მრავალხმოვანად აქცია, მისცა მათ მუსიკალური და რითმიული მრავალ-ფეროვანება, და შექმნა ნიჭი ისეთ სულიერ მოძრაობათა გარდაცემისა, რომელნიც მხოლოდ ძლიერად იგრძნობიან, მაგრამ სიტყვითა და ლოღიკით არ გამოითქმიან.

ერთ-ხმოვანი სიმღერა, სადაც მელოდიას ამყოლი ხმა თან არ ახლავს, ჰგავს პრ. ნაუმანის სიტყვით, შიშველ, უფერადო მხატვრობასა. მაგრამ ესიც კია, რომ ის ხალხი, რომელსაც ერთხმოვანი სიმღერები აქვს, შეეცადა იმ უფერულების ნაცვლად ორიგინალური ფიზიონომია მაინც მიეცა თავის სიმღერებისათვის მით, რომ უფერული მელოდიის წიაღი შეამკვეს ზედ-მეტ მოკლე ნოტებითა, მაგ.—რაკრაკითა, გრუპეტტოთი და მოკლე ნოტების დიდი პასსაჟებითაც-კი.

სპარსული ხალხური სიმღერები მაგალითია ასეთ ერთხმოვან სიმღერითა. მათი მელოდია განირჩევა ბგერათა არა ჩვეულებრივ და უცნაურ თანდათანობითა, თავისებური ქრომატიზმითა, რითმის გადაჭარბებული უცნაურობითა, მრავლის-უმრავლეს მელიზმითა, ესე იგი ზემოხსენებულ საკაზმავებითა, და ბოლოს ყველასაგან ცნობილ გაძლიერებულ სეკუნდის ხშირი ხმარებითა და ხანდახან კი გადაჭარბებულ ქვარტითაც.

ორი პირველი ჩაწერილი სიმღერა, რომელიც ეხლა ხელთა მაქვს, ნათლად ამტკიცებს, რასაც ვასბობ. ბგერათა მომეტებული თანდათანობა სპარსულ სიმღერებში იქამდის მიდის, რომ ხანდახან ბგერათა შორის მხოლოდ ნახევარ-ნოტის მანძილია, რაიცა ხმათა ისეთნაირ თანდათანობას ჰბადებს, რომელიც გამოდის ბგერათა დაწესებულ ქრომატიულ რიგის საზღვრებიდან. ამას გარდა სპარსელს საშინლად აქვს განვითარებული სმენა და იგი ამ მხრით ევროპიელისათვის მიუწდომელ ხელოვნებამდის მიდის; იგი ამოძრავებს ხმას არა თუ ნაჩვენებ ინტერვალებში, არამედ ერთსა და იმავე ბგერას სხვა და სხვანაირად ამოიძახის სიმღერის ტექსტის მიხედვითა. წმინდა მუსიკალური მხრით სპარსული სიმღერები ერთფეროვანია. იგინი უმეტეს ნაწილად ერთმანეთსა ჰგვანან. თუ არის რაიმე ნიშან წყალი მრავალ-ფეროვანებისა, ეს უკანასკნელი განისაზღვრება უფრო რითმიული და მეტრიული მხარითა. სპარსელებს არ მოეპოვებათ თითქმის არც ერთი სიმღერა პლასტიური სილამაზისა, მაგრამ თუ ყველა არა, უმეტესი ნაწილი მათი სიმღერებისა შესდგება ყელიდან ამოძახილი ყოველნაირი ფიორიტურებისგან, რომელსაც ხშირად მოსდევს ხოლმე ცხვირიდან გამოცემული ველური ხმა. სპარსელი იმღერის ყურ-წამღები ხმითა, თითქმის ჰყვის, და თანაც ასრულებს წმინდათ ზემოხსენებულ კაზმულობათა ყელის ტემბრის ბგერითა და ცხვირში ღუღუნითა,—ცხვარივით ბღავის. ასეთი სიმღერის თავისებურება პირველად ოცებს თქვენს სმენას, შეიძლება კიდეც მოგეწონოთ, რადგანაც მიჩვეუ

[*]) ეს წერილი დაიბეჭდა: „ეტნოგრ. ობოზრენიე"-ში, N 1, 1898 წ.

„დროების“ ხვალინდელ „სურათებიან დამატების“ შინაარსი. „ოცნებანი“, ოლივიე შრეინერისა, თარგ. ლ. მაზრელისა, „ჭრული ბერას ომი ქისტებთან“ (ხალხური), ი. კარგარეთლის მიერ ჩაწერილი; სურათები: ექიმი ლუკა ჯავახიშვილი, დრამატურგი ალ. სუმბათაშვილი, არტისტი ქალი ნ. დავითაშვილი, გენ. სნარსკი—რუსის ჯარის უფროსი თავრიზში და იაპონიის პრინცი ნაშიმოტო და პრინცესსა იცუკო.

# ახალი ამბავი

## ტფილისი

✦ **ბანკის კრების დასრულება.** 28 მაისს საღამოთი დასრულდა ტფ. სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის რწმუნებულთა წლიური კრება. ამ საღამოს კრება მთლად არჩევნებს მოუნდა. ასარჩევი იყო ბანკის ერთი დირექტორი, განსვენებულ ვ. ა. სულხანიშვილის ნაცვლად, ზედამხედველ კომიტეტის 8 წევრი, დამფასებელ კომისიის სამი წევრი და მათი კანდიდატები. დირექტორის თანამდებობაზე კანდიდატებად დასახელებულ იქმნენ სოხუმის ოლქის უფროსად ნამყოფი, ადრე ტფილისის მაზრის უფროსი, თავ. ლევან ჯადნიერი და ბანკის დამფასებელ კომისიის თავმჯდომარე თავ. ლ. ჩერქეზიშვილი. კენჭი იყარა ორივე კანდიდატმა. 85 ხმით წინააღმდეგ 49 ხმისა დირექტორად არჩეულ იქმნა თავ. ლ. ჯანდიერი. თავ. ჩერქეზიშვილს ამოუვიდა 54 თეთრი და 80 შავი კენჭი. ზედამხედველ კომიტეტის წევრებად არჩეულ იქმნენ უგან. თავ. პ. ა. გრუზინსკი (118 თეთრი და 16 შავი კენჭი), გ. ნ. ყაზბეგი (114 თ. და 20 შ.), კ. აბხაზი (116—18) გ. მაღალაშვილი (97—37), ს. რ. ვახვახიშვილი (93—41), ი. დ. აბხაზი (91—43), მ. ჭავჭავაძე (86—49) და ი. გ. ბარათაშვილი (89—46). ზედამხედველ კომიტეტში არჩეულთა გარდა დასახელებული იყვნენ თავ. გ. ამირეჯიბი, ს. ვაჩნაძე, ა. ხუციშვილი, დ. ა. ჩოლოყაშვილი და ნ. ზ. ცხვეთაძე. ს. ვაჩნაძისა და ხუციშვილის გარდა ყველანი აირჩიეს, მაგრამ წევრებად ჩაირიცხნენ პირველნი, რადგან მეტი ხმა ამოუვიდათ, ხოლო ესენი კანდიდატებად დარჩნენ. დასასრულ კრებამ თავმჯდომარეს გ. ნ. ყაზბეგს მადლობა გადაუხადა.

✦ **სომეხთა კათალიკოსი.** პეტერბურგიდან სრულიად სომეხთა კათალიკოსი მათეოს მეორე მოსკოვში შევლის და მერე პირდაპირ ტფილისში ჩამოვა. მოელიან 15—18 ივნისს. ტფილისელი სომხობა დიდის ამბით ემზადება კათალიკოსის მისაღებად. აქედან კათალიკოსი ეჩმიაძინს წავა. ტფილისის სხვა და სხვა სომხურმა დაწესებულებამ 17 კაცი აირჩია და ამათგან შემდგარ კომიტეტს დაავალა კათალიკოსის დახვედრის ხელმძღვანელობა. კომიტეტში არიან: ალ. ქიშმიშიანცი, ტ. გიუზალიანცი, ა. მელიქ-ბახტამიანცი, ექიმი იგიტიანცი, ხელოსანთა მამასახლისი რაფაელოვი, მოქალაქეთა მამასახლისი არაქელიანცი, ვაჭრებისაგან კაფიანცი, ჟურნალისტებისაგან არაქელიანცი, დეკანოზი აგანონიანცი, სისტორიო საზოგადოების წევრი ლალაიანცი, მანდილოსნები: ნ. დულუხანოვი, ფლორა ვართანიანცი, არუთინიანცი, მოისოგოლიანცი და სხვანი. კომიტეტი განიყოფება სამ სექციად: საფინანსო, საეკონომიო და საადმინისტრაციო. დახვედრისა და მიღების ცერემონიალს კომიტეტი თავის დროზე გამოაქვეყნებს.

✦ **სომეხთა კათალიკოსის არჩევის ახალი წესი.** „ბირჟ. ვედომ.“ იუწყებოდა, რომ რუსის მთავრობას აზრადა აქვს შესცვალოს სომეხთა კათალიკოსის არჩევის წესიო. გაზეთის სიტყვით, კათალიკოსის არჩევნებში უმრავლესობას ოსმალელი სომხები შეადგენენ. ესენი კი სცდილობენ კათალიკოსად ოსმალელი აირჩიონ, რაიც რუსეთის მთავრობას სასურველად არ უცვნია, რადგან ოსმალელი მღვდელ მთავარი ოსმალეთის ქვეშევრდომია; რუსეთისთვის კი საჭიროა, კათალიკოსი რუსის ქვეშევრდომი იყოს, რომ მაზე მეტი გავლენა იქონიოსო. „ნოვოე ვრემია“ ამის შესახებ სწერს, რომ ეს ხმა ტყუილია, მთავრობას არაფერი ამისთანა არ განუზრახავსო.

✦ **ტფილ. ქალაქის საბჭო.** 28 მაისს ტფ. ქალაქის საბჭოს განსახილველად წარედგინა ოც საქმეზე მეტი. თავმჯდომარემ, ქალაქის თავის მოადგილემ, ალ. ხატისოვმა აცნობა საბჭოს გარდაცვალება გუბერნიის მარშლად ნამყოფის დ. ზ. მელიქიშვილის, და ამის გამო გამგეობის დადგენილება. საბჭომ ფეხზე ადგომით პატივი სცა განსვენებულის ხსოვნას. შემდეგ შეუდგა საქმეების განხილვას. დაამტკიცა რამდენიმე წვრილმანი საქმე. სხვათა შორის დაამტკიცა გამგეობის დადგენილება, რომლითაც ძროხის ხორცის ნიხრად 12 კაპეიკის ნაცვლად დაინიშნა 13 კაპ. ქალაქის გამგეობამ აცნობა საბჭოს, რომ ძმათა ზუბალაშვილებისაგან მივიღეთ 50,000 მან. და გამგეობა ფიქრობს შეუდგეს საავადმყოფოს შენობის აგებასო. საბჭომ დაადგინა, ულრმესი მადლობა გადაუხადოს ძმ. ზუბალაშვილებს უხვი შემოწირულებისათვის და შეუდგეს ეხლავე შენობის აგებას. მოხსენება კინემატოგრაფებზე გადასახადების დაწესების შესახებ საბჭომ დაამტკიცა. როგორც წინადაც ვწერდით, ქალაქის საბჭომ უარჰყო საგუბერნიო ადმინისტრაციის წინადადება პოლიციელებისთვის იარაღის შესაძენად 1700 მან. გადადების შესახებ. საგუბერნიო ადმინისტრაციამ შემდეგ შეადგინა პროექტი ქალაქის პოლიციელთა შტატის გადასახადებისა და ახალ იარაღის შეძენის შესახებ, რისთვისაც ნაანგარიშევია 42,000 მან. საბჭომ ეს წინადადება გუბერნატორისა განიხილა ამ სხდომაზე. წინადადებამ ხანგრძლივი კამათი გამოიწვია. ხმოსანთა უმრავლესობამ უკანონოდ სცნო ასეთი მოთხოვნილება ადმინისტრაციისა. ქალაქი 110,000 მან. ხარჯავს პოლიციაზე და ამაზე მეტის გადადება შეუძლებელიაო. საბჭომ უარ-ჰყო გუბერნატორის წინადადება. საბურთალოს მცხოვრებთ გადასწყვიტეს, შეადგინონ სააქციონერო საზოგადოება, რომელიც ითავებს დიდუბესა და საბურთალოს შუა მტკვარზე ხიდის გადებას. საბჭომ გაიცნო ამ საკითხის შესახებ მოხსენება და პრინციპიალურად თანხმობა განაცხადა ხიდის გამართვაზე. დაადგინა, ვიდრე მცხოვრებთა და ქალაქს შორის მოხდებოდეს შესაფერი შეთანხმება, მოეთხოვოთ საქმის ინიციატორთ გარკვეული პასუხი, რა პირობებით ფიქრობენ იგინი ხიდის გამართვას. საზოგადოებამ უნდა აღნიშნოს ვადა, რომლის განმავლობაშიაც დაწესებული იქნება გადასახადი საბურთალოს მხრივ მტკვრის ნაპირი, გაბაშვილის ადგილი, ნასყიდობის ქაღალდით ქალაქს უნდა ჩაჰბარდეს და სხვა.

✦ **მღვდლის მოკვლა.** სოხუმის ოლქის სოფელ ბედიადან გვწერენ: „22 მაისს დილის რვა საათზე, ბედის მღვდელი პროქორე ხაჟომია თავის 25 წლის ვაჟი-შვილით წავიდა დაბა ოჩამჩირეში, სადაც გაჰყიდა ჭირნახული, მიიღო 95 მანეთი და დაბრუნდა შინ. გზაზე მოელოდათ დაბურულ ტყეზე გავლა. შევიდნენ თუ არა ტყეში, გავარდა ტყვია და შვილი დაჭრილი დაეცა. მერე დაუშინეს ავაზაკებმა ბერდანები მოხუც მღვდელს და იქვე მოჰკლეს. სიკვდილისაგან გადარჩენილი შვილი ამბობს: სამი ავაზაკი იყო, ორს პირისახე ყაბალახით ჰქონდა აკრული. ვერც ერთი ვერ ვიცანიო. არ იციან, რად მოჰკლეს მღვდელი“.

✦ **დ. სამტრედია.** დაბა სამტრედიაში მაისის 31-სათვის განზრახული სეირნობა და ლატარეია-ალეგრი წერა-კითხვის საზოგადოების ადგილობრივ განყოფილების სასარგებლოდ, გამმართველთაგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო, გადაიდო სხვა დროისთვის.

✦ **სომხური სამეურნეო და შინა-მრეწველობის საზოგადოება.** როგორც ვიცით, სომეხთა ინტელიგენციის ერთის ჯგუფის მეთაურობით ტფილისში არსებობს სომხური სამეურნეო შინა მრეწველობის საზოგადოება. ამ საზოგადოების წევრნი, მართალია, მონაწილეობას იღებენ კავკასიის სამეურნეო საზოგადოებაში, კავკასიის შინა მრეწველობის კომიტეტის მოქმედებაში და სხვა, მაგრამამით არ დაკმაყოფილდნენ და საკუთარი საზოგადოებანიც შეჰქმნეს, ამასთან დიდის მხნეობით მოქმედებენ და ბევრს რამ კარგიც გააკეთეს. 28 მაის მოხდა კრება სომხურ სამეურნეო და შინა მრეწველობის საზოგადოებისა ბ-ნ არაქელიანის თავმჯდომარეობით. კრებამ მიიღო ბ-ნ ქალანთარის მიერ შემუშავებული წესი საზოგადოების მოქმედებისა, განიხილა რამდენიმე სხვა საკითხიც და დასასრულ აირჩია გამგეობის წევრნი. თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა ა. ა. ქალანთარი, წევრებად — აკანუშ მარტიროსიანცი, ნინო დოლუხანოვი, ავთანდილიანისა, აშოტ ათანასიანცი და მელიქ ბახტამიანცი.

✦ **სამრეწველოების შეჩერება.** გუშინ ვწერდით, რომ ბაქოში მოჰკლეს მირზოევის ქარხნის გამგე ინჟენერი ბორისოვი და მეეტლეო. პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოს სიტყვით, ბაქოს გრადონაჩალნიკის მარტინოვის განკარგულებით შეუჩერებიათ მუშაობა მირზოევისა და ადამოვის ნავთის სამრეწველოებში, დაუკეტნიათ მათი კანტორები და სამექანიკო სახელოსნოები. მირზოევის და ადამოვის სამრეწველოების მუშებს სამშობლოში ისტუმრებენ. მიზეზი ის არ არის, რომ ამ სამრეწველოების ადმინისტრაციამ დარაჯს დახმარება არ გაუწია მკვლელების შეპყრობის დროსაო.

✦ **ოსური წარმოდგენა.** დღეს, 30 მაისს, ზუბალაშვილის სახალხო სახლში გაიმართება ოსური წარმოდგენა. წარმოადგენენ ე. ბრითაევის 2 მოქმედებიან პიესას „ხუდინაჯი ბაეთი შალათ“ (სიკვდილი სჯობია ნაძრახ სიცოცხლეს) და ნ. ათაევის მიერ ქართულიდან ნათარგმნ პიესას „მაზონდაი მილარცომ“ („ღირსია“). წარმოდგენა დაიწყება საღამოს 8 საათზე.

✦ **ჟურნალისტთა კრება.** ტფ. ჟურნალისტთა საზოგადო კრება დანიშნულია ხვალ, 31 მაისს, საღამოს 7 საათისთვის ქალაქის გამგეობის დარბაზში. ამ სხდომას რამდენი წევრიც უნდა დაესწროს, კრება შესდგება. კრება სხვათა შორის განიხილავს ი. ხაჩატურიანცის ინციდენტს.

✦ **„მოსავალი“.** რედაქციამ მიიღო მეორე ნომერი სამეურნეო გაზეთის „მოსავალისა“. ეს ნომერიც ისევე საინტერესოა, როგორიც პირველი იყო.

✦ **სეირნობა სახალხო უნივერსიტეტის სასარგებლოდ.** სახალხო უნივერსიტეტის სასარგებლოდ სეირნობა მუშტაიდში, 31 მაისის ნაცვლად, გაიმართება კვირას, 7 ივნისს.

✦ **საგუბერნიო ბეითლის თანაშემწე.** ტფ. საგუბერნიო ინსპექტორის თანაშემწედ დაინიშნა ბეითალი დ. ახმეტელაშვილი.

✦ **საადგილ-მამულო კომისია.** დეპუტატთა საკრებულოსთან არსებული საადგილ-მამულო კომისია მეტად შევიწროებულ მდგომარეობაშია. როგორც გადმოგვცეს, შარშან კომისიისთვის გადადებული 10,000 მან. არ გადუციათ და, რასაკვირველია, კომისიაც ვერაფერს გააკეთებდა. იმედს კომისია ამყარებს წლევანდელ კრებაზე, რომელიც 31 მაისს შეუდგება ბანკის მოგების (199,000 მან.) განაწილებას.

✦ **საორქეოლოგიო საზოგადოება.** დღეს, საღამოს რვა საათზე, ტფ საჯარო ბიბლიოთეკაში მოხდება მოსკოვის საარქ. საზოგადოების კავ. განყოფილების კრება, რომელზედაც ტერ-ავეტისოვი წაიკითხავს მოხსენებას სანაინის წარწერებზე.

✦ 28 მაისს, დილის 10 საათზე, მიდიუტინის ქუჩაზე (სახლი № 13) მცხოვრების ვლადიმიროვის 13 წლის შვილს, კადეტს, ბერტოლეს მარილისა და სხვა ნივთიერების შეერთების დროს გაუსქდა ხელში ჭურჭელი, რომელმაც ისე ძლიერ იფეთქა, რომ სახლი შეარყია და ფანჯრები ჩაამტვრია. ყმაწვილს სახე შეურუჯა და დაუშავდა ხელი.

✦ 28 მაისს დააპატიმრეს ვართან ვართანოვი, რომელსაც 500 მანეთის ბრილიანტის ნივთები აღმოაჩნდა. ეს ნივთები მოუპარავს გრიგოლ არუთინოვის მაღაზიიდან.

✦ 28 მაისს პოლიციის მე-5 ნაწილში დააპატიმრეს მნაცაკან ვოსკანოვი და ალექსანდრე მეტრეველი, რომელნიც გადასახლების შემდეგ დაბრუნებულან ტფილისში.

## პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართული სამეცნიერო წრე

როგორც უკვე აღვნიშნეთ ამ ორიოდე დღის წინად, ქართულმა სამეცნიერო წრემ განიზრახა საქართველოს სოფლების ეკონომიურ და სხვა გვარ მდგომარეობის შესახებ ცნობების შეკრება საზაფხულო მუშაობის დროს თავის წევრების და ადგილობრივ პირთა დახმარებით. იმ დროს, როდესაც ჩვენში არ არსებობს არც ერთი იმ გვარი დაწესებულება, რომელიც ადევნებდეს თვალ-ყურს ქართველ ერის ცხოვრების ეკონომიურ და სხვა მხარის მიმდინარეობას, განმარტება და ლაპარაკი ამ საქმის მნიშვნელობასა და საჭიროებაზე მეტი უნდა იყოს, მით უმეტეს, რომ ამ გვარ ხასიათის მუშაობა, სხვათა შორის, გააცნობს ჩვენ ახალ-თაობას მის სამსამშობლო კუთხის ადგილობრივ პირობებს, რაც გაუადვილებს და შესამჩნევად გაუნაყოფიერებს მას თავის მომავალ მუშაობას.

თუმცა, როგორც პეტერბურგის ქართველ მოსწავლე ახალ-გაზდობაში, ისე სხვა ქალაქების სტუდენტობაშიაც აღმოჩნდენ ამ გვარ მუშაობის მსურველნი, თუმცა ჩვენის აზრით ადგილობრივი პირებიც (როგორიცაა, მაგალითად, ჩვენი სოფლების საშუალო ინტელიგენცია) მიიღებენ მონაწილეობას ამ ცნობების შეკრებაში, ჩვენ მაინც გადავწყვიტეთ, რომ ჩვენი გეგმა, რაც შეიძლება, მარტივ და ადვილად გასაგებ კითხვებისაგან ყოფილიყო შემდგარი, რადგან უფრო რთული და დაწვრილებით აღწერისათვის საჭიროა, როგორც შედარებით მეტი მომუშავე, ისე უფრო უკეთესი ორგანიზაცია. დღევანდელი ჩვენი გეგმა შესდგება უმთავრესად საზოგადო კითხვებისაგან, რომლებზედაც უფრო ადვილია პასუხის მიცემა, ვიდრე კერძო კითხვებზე, რომლებიც შეეხებიან სვითეულ ოჯახის მდგომარეობას.

გვგონია, რომ როგორც ადგილობრივი ინტელიგენცია, ისე მოსწავლე ახალგაზდობაც შეძლებისადა გვარად ეცდება შეიტანოს თავისი წვლილი ამ მეტად საყურადღებო შრომაში.

პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართულ სამეცნიერო წრემ თავის უკანასკნელ კრებაზე ამოარჩია ტფილისის და ქუთაისის გამგეობა, წრის საქმეების გასაძღოლად. ტფილისის გამგეობაში შედის სამი წევრი: რეზო გაბაშვილი, [illegible] მრაძე და ვანო ჩერქეზიშვილი. ქუთაისის გამგეობაში [illegible] ყიფშიძე და გიორგი ჟუბაბრია.

ეს გეგმა დაიბეჭდება ქალაქ ტფილისში ამ მოკლე ხნის განმავლობაში და მსურველთ დაეგზავნებათ საქართველოს ყველა კუთხის სოფლებში. დაბეჭდილი ფურცლები გაიგზავნება ქალაქ ქუთაისში დასავლეთ საქართველოს სოფლების აღსაწერად. ქართლელებს და კახელებს კი შეუძლიანთ მიიღონ იგი წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში.

აი თვით გეგმაც:

1. სოფლის სახელი. გუბერნია. მაზრა. საზოგადოება.

2. ერთობლივ რამდენი კომლია სოფლად; ეროვნებისა, წოდებისა, და სარწმუნოების მიხედვით, (თუ შეიძლება თავობრივი მათი რიცხვი).

3. დაბადებულთა რიცხვი, ყოველწლივ, სქესისა, წოდებისა, ეროვნებისა და სარწმუნოების მიხედვით.

4. მიცვალებულთა რიცხვი, ყოველწლივ სქესისა, წოდებისა, ეროვნებისა, სარწმუნოებისა და წლოვანობის მიხედვით.

5. თვითეულ კომლს რამდენი მიწა აქვს საკუთარი, იჯარით, ან სალალეთ აღებული. ვენახი ან ბაღი აბადია თუ არა?

6. მთისა, თუ ბარის სოფელია?

7. თვით სოფელი და მის გარშემო ალაგი ვაკიანია თუ გორაკიანი, ჭაობიანია თუ მშრალი?

8. სოფელს ჩამოუდის შიგ წყალი თუ უწყლოა? მდინარე თუ დაშორებულია სოფელზე, რა მანძილზეა დაშორებული, და მისი სახელი?

9. ტყიანი სოფელია თუ უტყეო? თუ მოშორებითა აქვს სოფელს ტყე, რა მანძილზეა დაშორებული, რა გვარი გზა არის გაყვანილი სოფლიდან ტყეში და უმეტესად რა გვარი ჯიშის ხეები არის ამ ტყეში?

10. მცხოვრებთა მოსახლეობის სურათი: შორის-შორს არიან დასახლებულნი თუ ერთად? კარმიდამო შემოღობილი აქვს, თუ არა; და თუ აქვს შემოღობილი—რით? კარწინ ბაღჩები აქვთ ან ხეები უდგიათ თუ არა?

11. სოფელი ვენახ-ბაღებიანია თუ ტიტველი? სოფლის გარეთ ამ სოფლის მცხოვრებთ აქვთ ვენახები ან ბაღები და ბოსტნები თუ არა? თუ აქვთ, რა მანძილზეა დაშორებული და რა გვარი გზა მიდის იქით?

12. რას, მისდევს სოფელი: ხვნა თესვას: (პური, ქერი, სიმინდი, ფეტვი, და სხვა). მევენახეობას, მებოსტნეობას, მებაღეობას, მეცხვარეობას თუ სხვა რაიმე მეურნეობას? რომელი მეურნეობის დარგი შეადგენს მცხოვრებთა ცხოვრების უმთავრეს სალსარს?

13. ალო, მოდგამობა, მამითადი და ნადი თუ იციან, მისი წესი, პირობები და ფასები. (სასურველია დაწვრილებითი ცნობები).

14. დალის პირობები (სასურველია დაწვრილებითი ცნობები იყოს შეკრებილი და ფულად გამოანგარიშებული იყოს დალის ფასი, უნდა გაიგოთ დღიურისა და ქცევის მოხვნა, დაფარცხვა და დათესვა რამდენი ჯდება; თესლი რა ღირებულებისა სპირია; მორწყვა, გათოხნა ან გამარგვლა, მომკა ან ტეხვა რა ღირს და ამის მიხედვით საერთო მოსავლის და საბატონო წილის ღირებულობა უნდა იყოს გამოანგარიშებული ფულად აძლევენ თუ თვით მოსავლით.

15. გლეხ-კაცის ყოველწლიურ შემოსავლის რაოდენობა: პურად, ღვინოდ, სიმინდად, ქერად, ბზედ და სხვა.

16. წლის განმავლობაში ოჯახობას რამდენი ეხარჯება? რჩება რამ ზედმეტი თუ არა?

17. შემოსავლიდან თუ ჰყიდის რასმეს? რას? რამდენს? რა ფასად და როგორ: თვითონ თუ ჩარჩის საშუალებით?

18. სოფლელები სამუშაოდ ხომ არ მიდიან ხოლმე; რამდენი მამა და დედა-კაცი, სად, როდის (ზამთრობით თუ წლობით, მუდმივ თუ ხანდისხან)?

19. ყოველ წლივ რამდენი ჰაიუკია ჯარში გასასვლელი?

20. სოფლის ადგილობრივი მოხელენი ვინ არიან ეროვნების, სარწმუნოების, წოდების, სწავლის ცენზის და თანამდებობის მიხედვით?

21. რა უჯდება სოფელს წლიურად ადგილობრივი ადმინისტრაცია?

22. რა ეკლესიები არსებობს სოფლად? სარწმუნოების მიხედვით? რამდენი მღვდელი, დიაკვანი და სხვა საეკლესიო პირნი არიან სოფლად?

23. რამდენს აძლევენ მღვდელს, დიაკვანს და ეკლესიის სხვა პირს დრამას და სხვა გვარს გასამრჯელოზე?

24. არსებობს თუ არა და რა სკოლები? სახაზინო, საზოგადოების, საეკლესიო ან სამონასტრო? რამდენი მასწავლებელია სოფელში? მათი ეროვნება, სარწმუნოება,

---

ლი არა ხართ, მაგრამ ეს შთაბეჭდილება ხანგრძლივი არ არის. ძლიერ მალე მოგწყინდებათ, მერე მოთმინებიდან გამოხვალთ და ბოლოს სმენის დაღლილობის მეტს ვერას იგრძნობთ.

ძლიერ ძნელია სპარსულ სიმღერების ჩაწერა. მომღერალი დიდ იმპროვიზაციის თავისუფლებას აძლევს თავსა. რამდენჯერაც არ უნდა გაამეორებინოთ სიმღერა, ყოველთვის იგი სხვანაირად ამბობს, სცვლის სიმღერას მელოდიურადაც და რითმიულადაც.

არსებობს ისეთი აზრი, თითქოს სპარსული ხალხური სიმღერის გაყოფა (აგრეთვე ოსმალურისა) ორ სრულიად სხვა და სხვა ნაწილად შეიძლებოდეს: 1) მუსიკა დიდ-კაცთა სახლებისა და ჰარამ-ხანებისა, რომელსაც მხოლოდ ქალები ასრულებენ და რომელიც არ გამოდის ჰარამ-ხანის გარედ, 2) მუსიკა ხალხური, რომელსაც მარტო კაცები ასრულებენ. ესენი ერთმანეთს ენათესავებიან თითქოს, მაგრამ თვითეულს მაინც უნდა ჰქონდეს განსაკუთრებული ხასიათი. საუბედუროდ, ჯერ ვერავინ ვერ აღმოაჩინა, რაშია ეს განსაკუთრებული ხასიათი. მეც ვერას ვიტყვი ამის შესახებ, რადგანაც ჩემს დღეში არ გამიგონია ჰარამ-ხანის სიმღერები. ვიტყვით მხოლოდ, რომ მიუხედავად ჩემი ღრმა პატივის-ცემისა პრ. ნაუმანისადმი, ამაში მე მას მაინც ვერ დავეთანხმები. მის ამგვარ აზრს თვით ცხოვრება ეწინააღმდეგება: ღედა ჰარამ-ხანაშიაც დედაა.

სპარსულ ხალხურ მუსიკას, ანუ უკეთ რომ ვთქვათ, მამაკაცთა მუსიკას, გაიგონებ მოედნებზედა და სალხინო ალაგას ქალაქებში. აქ გესმით ეს სიმღერები და ჰხედავთ ცეკვა-თამაშსა. მომღერლებს გარს შემოერტყმის ხოლმე მსმენელთა გრბო, მუსულმანები, და გატაცებით უსმენს მომღერალსა. სიმღერის შინაარსი მოკლე წინადადებაა, რომელიც ჰხატავს რაიმე აზრსა და რომელსაც თან ახლავს უსათუოდ რაიმე შედარება. აი მაგალითად:

ბულბულს უყვარს ვარდი,
ვარდსა კი ბულბული,
შენ შეიყვარე მგოსანი
მგოსანმა კი როგორ არ უნდა შეგიყვაროს,
ჩემო მშვენიერო ვარდო!

სანამ სიმღერას დაიწყებდეს, მომღერალი რამოდენიმეჯერ რითმიულად დაჰკრავს დაფსა, მერმე შემოსძახებს სიმღერას სცდილობს, რაც შეიძლება მაღლა იმღეროს. ამასთანავე იგი საშინელ ვნების ხასიათს აძლევს სიმღერასა, რომელიც ელექტრონივით დაუვლის ხოლმე მსმენელებსა და ეს უკანასკნელნიც სიხარულსა და ვნებათა აღგზნებას მყისვე დაიწყებენ ხოლმე სახეებზედ.

სპარსელებს შეუძლიანთ მთელი საათობით ისმინონ ეს მუსიკა, მიუხედავად იმისა, რომ ამ მოკლე წინადადებას მომღერალი იმეორებს და იმეორებს ყოველ წუთში. ასეთ აღგზნებულ სიმღერას ეწოდება „ბაიათი“. ხან და ხან მებაიათეს, რომელსაც დაფი უჭირავს, ხელში, ახლებენ მუსიკოსები არაბულსა და სპარსულს საკრავებს: თარსა, ქიანურსა, დოლსა, ჭიანჭილსა და სხვასა. ახლებლა შეიძლება სიმღერის სრულ ვოკალურ ასრულების განმავლობაში, მაგრამ უმეტეს ნაწილად ეს ორკესტრი უკრავს თავში და ბოლოში, შუაში კი მომღერალი გასძახის თავის სიმღერასა. კორგანოვის ცნობილი „ბაიათი“-ს სათაური სრულიად არ ეთანხმება შინაარსსა, რადგანაც მისი თხზულება აღმოსავლეთის სხვა და სხვა ხალხთა სიმღერების ნარევია, ასე რომ მისი „ბაიათი“ არავითარ წარმოდგენას არ იძლევა ნამდვილ სპარსულ ბაიათზედ. ბ-ნმა კორგანოვმა მხოლოდ ისარგებლა ამ მომხიბლავი სათაურით, ალბად იმიტომ, რომ ეს ეფფექტის მიმცემი სოლოს სიმღერა თავისი პატარა ორკესტრით ძლიერ გავრცელებულია ამიერ-კავკასიაში, სადაც იგი შევიდა ქართველ მეფეთა დროს, რომელთა სუფრას ყოველთვის ამშვენებდა მებაიათე.

ეხლა ამიერ-კავკასიის მხოლოდ ქალაქებში და ნახავთ მებაიათეებს, რომლებიც ამშვენებენ ლოთების სუფრას ბაღებში. აქ მათ ეწოდებათ ქართული სახელი „საზანდარი“, თუმცა მათ არავითარი მსგავსება არა აქვსთ ნამდვილ ქართულ „საზანდართან“ (იმერეთშია).

ეხლა, როგორც შევნიშნე, რეპერტუარი ასეთი მომღერლებისა და ორკესტრისა ძლიერ გადიდდა; მაგრამ ეს მომღერლები საცოდავი კომპილიატორები არიან; იმღერიან „ბაიათს“ გარდა ყველა ხალხთა ყოველნაირ სიმღერებსა, ასე გასინჯეთ გადასპარსულებულ იტალიურ რომანსებსაც. ამ დამკვრელ-მომღერალთა ხელოვნება იქამდის მივიდა, რომ შეგიძლიანთ აღმოსავლეთის ელფერის მელოდიაში გაიგონოთ „ტრავიატას“ ცნობილი ბარიტონის არია, ან და სხვა და სხვა ახლად შეთხზული ვალსები.

(შემდეგი იქნება)

სწავლა-განათლების ცენზი, წოდება და წლოვანება?

25. მოწაფეთა რიცხვი ეროვნების, სარწმუნოების, სქესის, წოდების და წლოვანობის მიხედვით.

26. არსებობს თუ არა სოფლად ბიბლიოთეკა? რანაირი, ვისია: საზოგადოების თუ სკოლისა? არის გავრცელებული ჟურნალ-გაზეთების კითხვა თუ არა?

27. რის დუქნებია სოფელში? ვისია სარწმუნოების, ეროვნების და წოდების მიხედვით? ადგილობრივი მცხოვრებთაგანია თუ მოსული პირი?

28. სოფელში სხვა და სხვა ხელობის პირნი ხომ არ არიან? წოდების, სარწმუნოების და ეროვნების მიხედვით. ადგილობრივი მცხოვრებთაგანია თუ მოსული პირი? მარტო თავის ხელობითა ცხოვრობს, თუ სხვა რამ მუშაობასაც მისდევს?

29. დაიარებიან თუ არა დალალები: რა დროს. საიდან და რით აძლევენ გლეხები საქონლის ფასს: ფულით თუ მოსავლით.

**წრე.**

# სპარსეთის ამბები

**რუსეთმა ახალი ჯარი გაგზავნა თეირანში.**

ამ დღეებში თეირანში ჩავიდა დუბნოს პოლკის ყაზახთა რაზმი ზარბაზნებით და ტყვიის მტყორცნელებით. რუსების საელჩომ განაცხადა, რომ ეს ახალი ჯარი რუსეთის ქვეშევრდომთა ინტერესების დასაცველად მოვიდაო.

**გენ. სნარსკი და თავრიზის კონსული.**

თეირანში მყოფმა რუსეთის საელჩომ სრული დამოუკიდებლობა მიანიჭა თავრიზში მყოფ კონსულს და გენ. სნარსკის. ამას იქით მათ საქმე ექნებათ პირდაპირ პეტერბურგთან და თეირანის საელჩოს ალაგაფერში დაეკითხებიან.

**საუბარი სპარსელ დიპლომატთან.**

ერთს გამოჩენილ სპარსელ დიპლომატს უთქვამს „რუს. სლოვო"-ს კორესპონდენტისთვის:

— რუსეთის დიპლომატიის მოქმედებას ყველანი ჰგმობენ, რადგან მან გადუხვია თავის წინანდელ გადაწყვეტილებას (წინად რუსის დიპლომატია აცხადებდა, რომ სპარსეთში შინაგან საქმეებში არ ჩავერევითო).

რუსის ჯარის შემოსვლამ სპარსეთის სამფლობელოში პირველ წამიდანვე გული დასწყვიტა სპარსელებს. რუსეთის მთავრობამ გამოაცხადა, რომ გენ. სნარსკის გალაშქრების მიზანია—მხოლოდ უცხოელების დაცვა და თავრიზელების შიმშილისაგან დახსნა, რის შემდეგ რუსის ჯარი მიატოვებს სპარსეთის სამფლობელოსაო. რუსის რაზმმა ეს საქმე პირველ სამს დღეშივე შეასრულა, მაშ რაღად დგას იგი თავრიზშიო.

ამას გარდა, როდესაც შაჰის ჯარი მოშორდა თავრიზს და ეს ქალაქი დამშვიდდა, გენ. სნარსკი, რომელიც მანამდე რამდენიმე ვერსის მანძილზე იდგა ქალაქიდან, თავრიზში შევიდა თავის რაზმით.

ამიტომ მეგობრული განწყობილების ნაცვლად ხალხსა და ჯარს შორის ჩამოვარდა უთანხმოება, რომელიც მალე აშკარა მტრობად გადიქცა. ამას დაუმატეთ ისიც, რომ გენ. სნარსკის გალაშქრების ხარჯსაც თურმე სპარსეთს გადაახდევინებენო.

**როგორ მოიხმარებენ რუსეთის სესხს.**

ამბობენ, რომ იმ ერთ მილიონ მანეთიდან, რომელსაც რუსეთი ასესხებს სპარსეთს, გამობრილ იქნება ის ზარალი, რომელიც მოუვიდა რუსის ქვეშევრდომს თავრიზსა და სხვა ადგილებში, სადაც უწესოება მოხდა.

**სპარსელების უკმაყოფილება.**

როგორც ვიცით, ჩხრეკამ და დატუსაღებამ ძლიერ აღელვა თავრიზელები რუსების წინააღმდეგ. სომხურ გაზ. „გორც"-ს ატყობინებენ თავრიზიდან: აღელვებული სპარსელები ჯგუფ-ჯგუფად მიდიოდნენ ბესტში ჩასაჯდომად, სადაც უკვე ისხდნენ სათარ-ხანი და ბაღირ-ხანი. 18 მაისს საღამოს საკონსულოში უკვე რამდენიმე ასი კაცი იჯდა. ბესტში ჩაჯდომის სურვილი მეტად ბევრს აქვს. ამბობენ, მალე ბაზარი დაიკეტება და მთელი ხალხი იგრიალებს ოსმალეთის საკონსულოსკენაო. ენჯუმენის წევრები მუდამ ეთათბირებიან სათარ-ხანს; სპარსელებს ოსმალების შველის იმედი აქვთ.

**სპარსელის აზრი ინგლისისა და რუსეთის პოლიტიკაზე.**

ერთს სპარსელ მოღვაწეს თავრიზში უთქვამს „რ. სლოვო"-ს კორესპონდენტისთვის, რომ რუსის რაზმის მოქმედება თავრიზში მეტად მავნებელია თითონ რუსეთის ინტერესებისთვის და ამავე დროს მეტად სასარგებლოა ინგლისის ინტერესებისთვისაო:

მას აქეთ, რაც დაიწყო ჩხრეკა და დატუსაღება, სპარსელებმა ძლიერ შეიძულეს რუსები. ეხლა თვით წყნარი ვაჭრობაც-კი, რომელიც გუშინ ილოცავდათ თავრიზის გზის გახსნისთვის, დაღრეჯილი და სევდიანი იქნევს თავსა. დაიწყო „ლიახოვის მოქმედების ახალი ხანა". რისთვის? რათა?

რატომ თქვენ პოლიტიკას უფრო რბილადა და ფრთხილად არ აწარმოვებთ? ისე იქცევით, თითქო ვიღაც მენშიკოვის რჩევით, თქვენ გინდოდეთ ინგლისელებს აჩუქოთ ადერბეიჯანიცაო. თქვენ თითქო განზრახ მოქმედებთ ინგლისელების სასარგებლოდ და ჰღუპავთ თქვენს სახელს. მართალია ინგლისი და რუსეთი ერთმანეთის თანხმობით მოქმედებენ, მაგრამ აქ ბრმაც-კი დაინახავს, თუ რა როლს თამაშობს ინგლისი.

ინგლისის საკონსულოს ბაირაღს რომ უყურებთ, ჩვენ ვფიქრობთ: „აი აქ სხედან ის კაცები, რომლებიც ყველა ამ საქმეს აწყობენ და თითონ კი გაჩუმებულნი არიან. ჩუმად არიან იმ დროს, როდესაც თქვენ აკეთებთ „შავს", ულირს საქმეს, დავას იწყებთ ვიღაც მამედჯულუვისთვის, ვიღაცის ეტლისთვის, რომელიც ვითომ წაერთმია სათარხანს, და ჯულფის გზის რაღაც საეჭვო ზარალს თხოულობთ.

თქვენ ისე გააგულისეთ ხალხი და ისე გაუჭირეთ საქმე ყველას, რომ ხალხის მეთაურები თავშესაფარს ეძებენ ოსმალეთის კონსულთან. ოსმალეთის კონსული თავის სახლში ჰმალავს სპარსელებს რუსებისაგან. თავრიზში უკვე დაიწყო მარჯვე აგიტაცია რუსების წინაღმდეგ.

შედექით! შეიგნეთ თქვენი შეცდომა, თორემ თქვენი სახელი სამუდამოდ დაეცემა, ყველას სიძულილს დაიმსახურებთ. მოგებითკი მხოლოდ ინგლისელები მოიგებენ".

ოსმალეთის კონსულს უთქვამს იმავ კორესპონდენტისთვის: რუსები თითქო საბუთს ეძებენ, რომ სასტიკობა გამოიჩინონო.

**რას ამბობს უცხოეთის პრესა.**

გერმანელ გაზ. „ფრაკფურტერ ცაიტუნგ"-ს არა სჯერა, რომ რუსეთმა გამოიყვანოს თავისი ჯარი ადერბეიჯანიდან. გაზეთი სწერს: არც თუ ინგლისის მთავრობას სჯერა, რომ რუსეთმა გაიყვანოს ჯარი თავრიზიდან, პირიქით უნდა ველოდეთ, რომ რუსის ჯარი მალე ჩრდილოეთ სპარსეთს მოედებაო.

ინგლისური გაზ. „მანჩესტერ გარდიან" სწერს: „სპარსეთს დიდი განსაცდელი მოელის რუსეთისაგან. ჩვენი გარეშე საქმეთა სამინისტრო-კი ისე სუსტად მოქმედებს, რომ დეპუტატთა პალატა მოვალეა დაუყოვნებლივ მოსთხოვოს მთავრობას, რომ მან თავისი ეხლანდელი პოლიტიკა შესცვალოს და სპარსეთის დამოუკიდებლობა დაიცვას".

# წინამძღვარიანთ-კარის სამეურ. სასწავლებელი

(წერილი რედაქციის მიმართ)

„დროების" მე-54 ნომერში მოვათავსე პატარა წერილი წინამძღვარიანთ-კარის სამეურნეო სასწავლებლის შესახებ. ჩემს წერილს მოჰყვა ბ-ნ დ. მაზრელის („დროება") და მეზობლის („იმერია") წერილები, რომელნიც არ-გაგვანდნენ ჩემს ნათქვამს. მე არც ვეოფილვარ დიდის აზრისა ჩემს სამეურნეო ცოდნაზე და არც წერილში მითქვამს რამე ამაზე. მე მრწამს, რომ ჩვენი ქვეყანა სამეურნეო ქვეყანაა და ჩვენი ქვეყნის აყვავებისათვის უსაჭიროესს იარაღთაგანია მეურნეობის აღორძინება ჩვენს სამშობლოში. თუ სხვას სხვანაირად ესმის, ღმერთმა ხელი მოუმართოს, რაცა სწამს და როგორც სწამს—ისე იაროს და იქადაგოს. მე-კი ამ სათვის მას არ დავუწყებ ავად ხსენებასა და ლანძღვას, მაგრამ მოვითხოვ მათაგანაც, რომ ჩემის რწმენისათვის ნუ მლანძღავენ—საგანზე რამდენიც ჰნებავთ, იმდენი სწერონ.

მე მეინტერესებოდა წინამძღვარიანთ-კარის სამეურნეო სასწავლებელი. წავედი და ორჯელ ვნახე. ერთხელ ერთი ახალგაზდა, ნიკიტის სასწავლებელში კურს დამთავრებული მყავდა თან, მეორედ ბ-ნი დ. მაზრელი. დავათვალიერეთ სასწავლებელი და უფრო კი სამეურნეო ნაწილი. რამდენადაც იქ მყოფ მოსამსახურეების მოეთხოვებათ საქმის ვითარების ახსნა, მივიღეთ ცნობები, სოფლელებსაც ვკითხეთ, თუ რა გავლენა აქვს მათზე სასწავლებელს—როგორ სცხოვრობენ მოსწავლენი. ტფილისშიაც შევხვდი წინამძღვარიანთ-კარის ზოგიერთს სასწავლებლის ყოფილ მასწავლებელს; გამოვკითხე, სხვათა შორის, ის მიზეზი, რომლის გამოც არც ერთი მასწავლებელი დიდ ხანს არა ჩერდება სასწავლებელში. თვით ბ-ნი ხუნდაძე, რომელმაც შარშან სათავადაზნაურო კრებაზე ისე მჭერმეტყველურად დაიცვა წინამძღვარიანთ-კარის სკოლა, სადაც მან პირველად მიიღო სწავლა, არ გაჩერდა თავის alma mater-ში და სხვასთან მოურაობა არჩია მშობელ სამეურნეო სასწავლებლის გამგეობას. ყველა ეს საბუთს მაძლევს ვიფიქრო, რომ რაღაც მიზეზია, რომ სკოლის საქმე ჯეროვან ნიადაგზე ვერ არის მოწყობილი. აი ამის შემდეგ დავწერე ვრცელი წერილი და მივიტანე გაზეთ „დროების" რედაქციაში, მაგრამ რედაქციამ ორი თვის შემდეგ უკანვე დამიბრუნა და უარი მითხრა დაბეჭდვაზე. მე გადავაკეთე-შევამოკლე წერილი და თითქმის ძალა დავატანე რედაქციას, წერილი დაბეჭდნა: უმტკიცებდი, რომ კარგის მეტი არა მსურს-რა სკოლისა და ილია წინამძღვარიშვილისთვის, რომ ნებას არ მივცემ თავს შეურაცხყოფა მიაყენო იმ კაცს, რომლის ინიციატივით, შრომით და ხარჯით ეს 25 წელიწადი სცოცხლობს სასწავლებელი. უმტკიცებდი ამას რედაქციას და ეხლაც იმ აზრისა ვარ, რომ საზოგადოება მოვალეა მიუშველოს ილია წინამძღვარიშვილს, ჯერ ერთი იმიტომ რომ დიდი საქმეა სკოლის გაძღოლა, მეორეც პატივცემული ილია მოხუცდა და ცოდოა მარტოდ-მარტო დავტოვოთ ამ საქმეში. და სხვა. მე ვერცკი ვიცნობ ბ-ნ ი. წინამძღვრიშვილს და შორიდამ კი პატარაობიდგანვე პატივისცემის მეტი იმის მიმართ არაფერი მქონია.

ბოდიშს ვიხდი მკითხველთან, რომ წერილი ასე გავაგრძელე, მაგრამ საჭიროა, ერთხელ და სამუდამოდ მივეჩვიოთ იმ უბრალო ჭეშმარიტებას, რომ ყოველგვარ საზოგადოებრივ მოვლენაზე ყველა ჩვენგანს მარტო უფლება კი არა, მოვალეობაც აქვს გამოსთქვას თავისი პირუთვნელი და მიუდგომელი აზრი; არ უნდა მივაქციოთ ყურადღება იმას, თუ ვის მოეწონება და ეწყინება ეს ჩვენი აზრი, მხოლოდ უნდა ვერიდოთ პირადად კინკლაობას და შეურაცხყოფას.—საგანიუკეთ გამოირკვევა და ეს კი ნიშანი იქნება საქმის უკეთესად მოწყობისა.

ასე რომ მე ჩემის წერილით მარტო მსურდა გამომერკვია წინამძღვარიანთ კარის სკოლის მდგომარეობა და იმედი მქონდა და ეხლაც მაქვს, რომ საქმე უკეთ მოეწყობა. მეტსაც ვიტყვი—ჩემ წერილს, როგორც ეტყობა, ბ-ნმა წინამძღვარიშვილმა ყურადღება მიაქცია და ზოგიერთი საჭირო ზომაც მიიღო. მე ამითაც კმაყოფილი ვარ.

ვისაც სურს დარწმუნდეს, ჩვენში ვინ არის მართალი და ვინ მტყუანი, წაიკითხოს ჩვენი წერილები, მერე მიბძანდეს წინამძღვარიანთ კარის სკოლაში, დაათვალიეროს იქაურობა და მაშინ გამოთქვას თავისი მიუდგომელი აზრი.

**ტ.**

# თეატრი და ხელოვნება

**ალ. სუმბათაშვილის ახალი პიესა**

ვის არ ახსოვს წინამძღოლნი. მათი ბატონობა მეტად ახლო წარსულს ეკუთვნის. ყველაფერი ჩვენ თვალ წინ მოხდა, გუშინ, გუშინ-წინ. ვინ იცის, ვინ არ გაჰხადა ბედმა ბელადად, წინამძღოლად, ვინ არ ჩემობდა მეთაურობას. ქვეიდან დაწყებული სათავემდი ჩამწკრივებულნი იყვნენ წინამძღოლნი. ზოგი პატარა ჯგუფს წინამძღოლობდა, ზოგიც დიდს; ზოგიერთის ხელში მთელ სახელმწიფოს ბედიღბალიც იყო. ეს წინამძღოლნი დაბადა, როგორც ყველას ახსოვს, გუშინდელმა განმათავისუფლებულმა მოძრაობამ და მანვე გამოიყვანა სამოქმედო ასპარეზზე.

ჩვენმა თანამემამულემ, მწერალმა და მსახიობმა ალ. სუმბათაშვილმა სწორედ ამ დროს წაავლო ხელი და თავის პიესაში „წინამძღოლ"-ში, რომელსაც უწოდა „ხუთი ეპიზოდი ათის ადამიანის ცხოვრებიდან", მრავალი წინამძღოლი დაგვიყენა თვალ-წინ. ესენი არიან ლიბერალიზმის შემომტანი მაღალ წრეებში, მხნე, დაუღალავი ადამიანი, „დიდი კაცი" (როგორც მეორე მწერალმა უწოდა) ტემერნიცინი—ჯერ რკინის გზის უფროსი, შემდეგ კი პეტერბურგში დიდი ადგილის მქონე—სახელმწიფოს სათავეში მდგომი. იმის პირის-პირ გამოსულია კონსერვატიზმის ბურჯი, გენერალი ბრიტნევი—ტიპიური წარმომადგენელი მხედრობისა. აქვეა იმ დროს ახლად გამოსული მწერალი, რომელმაც ყველას ყურადღება მიიქცია, მაგრამ მერე მიჩუმდა და რუსეთიდანაც განიდევნა. გამოყვანილია ტიპიური მოხელე, რკინის გზის სადგურის უფროსი—რუდიცკი—შემდეგ თავის სიძის გაზეთის პასუხისმგებელი რედაქტორი. თვითონ გამომცემელი მრავალ წიგნისა, ქარხნებისა და ადგილ-მამულის პატრონი, გამოქნილი და ჩასუქებული კამბოჯიო—ყველაფერს ასწრობს, ყველას იცნობს, ბადალი არა ჰყავს განსაკუთრებით რეალურ ძალთა გათვალისწინებაში. ბიძაშვილები ვერშილინები—ერთი დრაგუნის აფიცერი, შემდეგ ტემერნიცინის „ატაშე". მას საშინლად ეჯავრება „კატა და რწმენა". იმ წრისთვის, სადაც აღიზარდა, გასაკვირველი არ არის ასეთი დაპირისპირება. მისი ბიძაშვილი დიმ. ვერშილინი—პირველად არა-კეთილ საიმედო სტუდენტი, სადღაც გაძევებული, თავისუფალი ინტელიგენტი, ვერ შეჰრიგებია თავის თანამოაზრეთა მოქმედების გეგმას. ეჯავრება სისხლი, სისხლის დაღვრა. ერთის უბედურებით მეორის ბედნიერების ყიდვა უსამართლობააო, გაიძახის. სიკვდილით სიცოცხლის შექმნა ყოვლად შეუძლებელიაო. ჰგმობს, გაურბის ბრძოლის იმ საშუალებებს, რომელიც მაშინ აუცილებელ საჭიროებად იყო მიჩნეული. გულს სევდა აწვება, მისი სული წყვდიადით არის მოცული. გული და სული ამღვრეული აქვს იმ საშინელებისაგან, რომელიც ათასი წელიწადია კაცობრიობის რწმენას შეადგენს; ვითომც საჭირო იყოს სულის დასახსნელათ სისხლი და სიკვდილი, თავისუფლების მოსაპოებლათ—სისხლი და სიკვდილი, კულტურისა და უფლებისათვის სისხლი და სიკვდილი, ღვთისათვის, ადამიანებისთვის,—სისხლი და სიკვდილი... მაგრამ მიუხედავათ ამისა კაცობრიობას დღემდისაც არა აქვს არც ცხონებული, სული არც კულტურა, არც ცივილიზაცია, არც თავისუფლება, არც ღმერთი... და არც ექნება, სანამ არ მოისპობა ეს წყეული უსამართლობა"-ო. ასე ამ თავრებს თავის მონოლოგს ვერშილინი.

არიან პიესაში ქალებიც. უმთავრესი მათგანი მარინაა: ლამაზი, ჭკუიანი და დამოუკიდებელი, როგორც ავტორი ახასიათებს ტემერნიცინის პირით. ისე სცხოვრობს, როგორც თვითონა სურს. წიგნების კითხვისთვის თავი გაუნებებია. სხვისი, განსაკუთრებით შეთხზული ცხოვრება, არ აინტერესებს—იგი ნამდვილ ცხოვრებას გვიმალავსო, ამბობს თვითონ. უყვარს ტემერნიცინი, რომელიც იძულებულია სხვა და სხვა მოსაზრებით მეორე ქალი, კნ. გორნოვოდსკაია შეირთოს. ეს საჭიროა იმიტომ, რომ მაღალ წრეებში გზა გაიკვლიოს. ამით შეურაცხყოფილი მარინა, რასაკვირველია, ჩამოშორდება ტემერნიცინს, ცოლად მიჰყვება კამბოჯიოს, მხოლოდ იმისთვის, რომ „სულელურად" იცხოვროს, მაგრამ ბოლოს, როდესაც დაბრუნდება დ. ვერშილინი, ქალი მას მისდევს...

არიან პიესაში სხვა მომქმედი პირნიც

აი, ამ პიესას ადგენენ დღეს ქართულ თეატრში.

**Anin.**

# ეგნატე ნინოშვილის ძეგლის ასაგებათ.

ჯეჯილის რედაქციამ მიიღო: შიო ქუჩუკაშვილისაგან—15 მ. 15 კ.

შემომწირველთა სია: თითო მან.: ვ. კაპანაძე, ივ. მანთემაშვილი და ალ. მაზვილაძე; ათ ათი შაური: Чигирова, ი. კაპლაძე ს. წვერანოვი, ალ. ელიავა, ი. გოგია, ი. ბიჭიკაშვილი, ი. ნახუცრივი, მაგაკოვია, მ. დევაძე, დვალი, ქორქია, ვ. რუსიშვილი, ი. კილიბოვი, ალ. ქურხელია, მიხ. ზაალიშვილი, სოს. კაკიაშვილი, ვლად. ჭალხაგოვი, ნ. ჩიტიშვილი, გ. ფოფხაძე, გ. ჩივაძე, პლ. მიქაძე; 30 კ.—ალ. გელაშვილი, 25 კ.—ივ. ჭანტურიშვილი, 20 კ.—ვლ. კაპანაძე, ნ. ახალკაცი და ზაქ. ლამქარაშვილი.

რედაქციამ მიიღო კიდევ არსენ მამულაიშვილის მიერ შეკრებილი 35 მან.

შემომწირველთა სია: აფრასიონ კ. ჯაფარიძე, სოლომონ მდინარაძე და არსენ მამულაიშვილი.—სამ-სამი მანეთი; გაბრიელ საყვარელიძე—2 მან. 40 კაპ.; N—2 მანეთი, გრიგოლ მახარაძე—2 მანეთი; ზვიადონ თულაშვილი, გიორგი ღოღობერიძე, ვლადიმერ აზმეთელაშვილი, ვასილ ბოლქვაძე, ჰიპოლიტონ ნოდია, კონსტანტინე კანდელაკი, ლუკა ლ. ბახტაძე, მ. ნ. ზუბალაშვილი, ივანე მაღალაშვილი, ივანე ბაზიანოვი, ქაიხოსრო ბაზუტაშვილი, მელნოს ჩხიკვაძე, ბაგრატ ნაკაიძე, ალექსანდრე ანდრონიკაშვილი, აკაკი გეგეჭკორი, ვლადიმერ რატიშვილი და ალექსანდრე გოცირიძე—თითო მანეთი; თამარ მამულაიშვილი—60 კაპ; ილია ხრისტოფოროვი, ნიკოლოზ ფურცელაძე, ვარლამ მდინარაძე და აკაკი მდინარაძე—ათ-ათი შაური.

სვიმონ ქელიძისაგან მიიღო 15 მან. 90 კ.

შემომწირველთა სია: სეილან დოლიძე და გიორგი ფილია—თითო მანეთი; ათ-ათი შაური: დიმიტრი მორჩილაძე ვარლამ დოლიძე, ვანო რატიანი, იორდან გორდელაძე, მიშა კობეშავიძე, სამსონ მამალაძე, მალაქია როველაძე, შალვა თავდუმაძე, ირაკლი ქელენტი, ლადიკო უჯმაჯურიძე, სამსონ ჩიტაიშვილი, ანთიმოზ მეტრეველი, კოწია ჩანტლაძე, ალექსი მარაშენიძე, ალექსანდრე ბაკურაძე, ივლიანე ჩხიკიშვილი, ევტიხი ჩიგოგიძე, ტარიელ ყენია, იუსტინე მეგრელიშვილი, სილოვან კალანდაძე, კოლა გუდავაძე, ისმაილ მგალობლიშვილი, სოლომონ ასამბაძე, მიხეილ ვაჩეიშვილი, სიმონ ჭელიძე, ფილიფე თავბერიძე და ასალოვ ბერჭულაძე. კალისტრატე ჩხაიძე—40 კაპ.

ვასილ მასხულიასაგან მიიღო რედაქციამ 5 მ. 30 კ.

შემომწირველთა სია: იაკობ გურგენიძე—50 კ., დავით კირვალიძე—25 კ., ნესტორ მიხაილიდი 1 მ. თითო აბაზი; ივანე ჩიტიძე, ალექსანდრე იაშვილი; სიმონ გინწურაშვილი, არქიპო ცხადაძე, გერასიმ კარტოზია. სამსონ ბალატურია—50 კ.; ხუთ-ხუთი შაური: დავით მაღლაფერიძე, ნიკო გორდეზიანი, გერასიმე კარტოზია—ვასილ მასხულია—1 მ., მიშა ჩარკვიანი და ალექ. ქანდარია—25 კ.

სულ 71 მ. 35 კ. დღემდე იყო 687 მ. 12 კ. შესდგა 758 მან. 47 კ.

# რუსეთი

**სამართალში მიცემა.** როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველს მოეხსენება, დუბროვინმა თავის გაზეთ „რუსკოე ზნამიაში" დასწერა, ოქტომბრისტებმა იმიტომ დაუჭირეს მხარი „სტაროობრიადცების" სარწმუნოების თავისუფლების შესახებ კანონპროექტს, რომ „სტაროობრიადცებმა" მათ ქრთამად ერთი მილიონი მანეთი მისცესო. გაზეთების სიტყვით ოქტომბრისტების ლიდერი გუჩკოვი დუბროვინს ცილისწამებისთვის სამართალში აძლევს.

**ტანი (ბოგარიზი).** „კასპ" პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ: „ცნობილ ლიტერატორ და პუბლიცისტს ტანს (ბოგოროზს) სასამართლომ ლიტერატურულ საქმისთვის ორი კვირით დაპატიმრება გადაუწყვიტა".

**ოქტომბრისტების ფრაქცია.** როგორც ვიცით ოქტომბრისტების ფრაქციიდან გამორიცხეს დეპუტატები პოლოვცევი და გოლოლობოვი. პოლოვცევი ზომიერ მემარჯვენეთა ფრაქციაში შესულა. გოლოლობოვიც ამ ფრაქციაში აპირობს შესვლას თურმე.

**სიკვდილით დასჯა.** სიკვდილით დასჯა გადაწყვეტილი აქვთ: პეტერბურგში 3, მინსკში 1, კიევში 1, ვარშავაში 1, ვლადივოსტოკში 2, ხარკოვში 1, ოდესაში 2, უფაში 3, ტომსკში 1, კამენეც-პოდოლსკში 2 კაცს;

**სიკვდილით დასაჯეს:** ხერსონში 4, კამენეც-პოდოლსკში 3, იურიევში 2, ტომსკში 1, ოდესაში 1, პეტერბურგში 2, ვარშავაში 1 კაცი.

**სინოდში.** სინოდს ამ დღეებში მსჯელობა ჰქონია ლ. ტოლსტოის წიგნზე „სამღვთო სჯული—ბავშვებისთვის" და დაუდგენია სთხოვოს შინაგან საქმეთა და იუსტიციის მინისტრებს აკრძალონ ეს წიგნი.

**ხოლერა პეტერბურგში.** გაზაფხულის პირზე ხოლერამ იკლო და ყველას იმედი მიეცა, მაგრამ ეხლა ყველას მოულოდნელად ხოლერა გაძლიერდა. ექიმების აზრით ხოლერა პეტერბურგში ძალიან გაძლიერდება, რადგან მათ გამოკვლევით სასმელი წყალი ხოლერის ბაცილებით ყოფილა მოწამლული.

**გაზეთი „სვეტი".** გაზ. „სვეტი" სწერს, ფინლიანდიის ახლად შეკრებილ სეიმი „კრამოლნიკურია", რაიც იმაში გამოიხატება, რომ ახლად არჩეული დეპუტატები რაღაც უგულოდ შეეგებნენ ხელმწიფე-იმპერატორის სიტყვებსო. შავრაზმელების გაზეთი სეიმის დათხოვნას თხოულობს.

**მემარჯვენეების მოხსენება.** რუსეთის გაზეთების სიტყვით მემარჯვენეებს გარეშე საქმეთა მინისტრისთვის მოხსენება წარუდგენიათ. მოხსენებაში ნათქვამია, რომ კავკასიელ რევოლიუციონერებს სურთ ისარგებლონ იმით, რომ სპარსეთის საქმეები აწეწილ-დაწეწილია, რუსეთს კავკასიიდან ჯარის წაყვანა მოუნდება და.. კავკასიის განცალკევებას ამზადებენო!

**ნება დართეს.** „კიევსკ. მის." სიტყვით შინაგან საქმეთა მინისტრს კიევის ებრაელებისთვის ნება დაურთავს, ზაფხულში კიევის ახლო მდებარე აგარაკებში იცხოვრონ. ამის შუამდგომლობა აღძრა კიევის გენერ.-გუბერნატორმა. ებრაელები გაზაფხულის დაწყებისთანავე გავიდნენ აგარაკებში, მაგრამ ყველანი უკან დააბრუნეს. ეხლა ხელმეორედ მიდიან აგარაკებში თურმე.


# განცხადებანი

**ექიმები** კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი და მ. ო. სუხარევსკი

იღებენ ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდრონის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვის. (0—586—156)

**ექიმი** ე. ს. ხუნდაძე ქუთაისში იღებს შინაგან, საშარდე და ქალთა სნეულობით ავადმყოფებს, აგრეთვე ბეჭიაობს, ყოველ დღე: დილის 10—1 ს., საღამოთი 6—7 ნახევარ საათ. ლევაშოვის ქუჩა, ს. N 29 ჩარექოვისა. (წლ.—6.—64)

**პირველი კერძო სამკურნალო დოქტ. ნავასარდიანისა**

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ყოველ დღე, კვირეებს გარდა

დ ი ლ ი თ:

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) და საშარდე.

**ყ. მ. ჩიქოვანი:** 9 ნახ.—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ნახ. ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ა. ი. კარაპეტიანცი:** 1—1 ნახ. ს. შინაგან და საბავშვო.

**ა. მ. ტურზოვიჩი:** 1 ნახ.—2 საათ. საბებიო და ქალებისა.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

**ი. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6 ნახ. ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. დ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილების აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დოქტორი

მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი**

(წ.—1—96)

ტფილისის ქალაქის

**გამგეობა**

ამით აუწყებს ყველას, რომ 190.. წელს პირველს ივნისსს, ნაშუადღევის 12 საათზე, გამგეობის თანადასწრებით მოხდება **მაჯარო ვაჭრობა**, რომელზედაც იჯარით გაიცემა ქალაქის საურმე სასწორი მე-10 ნაწილში, მალაკნის ქუჩაზე და მეორე სასწორი მე-7 ნაწილში, კახეთის მოედანზე.

პირობების გასინჯვა შეიძლება გამგეობის მეოთხე განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა 10-დან 2 საათამდე. (2—6.—...)

**შემთხვევით იყიდება**

2 სართულიანი **სახლი** ბანკის ვალით, შეღავათიან პირობებში. ათი ოთახი თავის კუხნებით და სარაიებით. ძველი ნაძალადევი, ავჭალის აუდიტორიის მახლობლად რკინის გზის გადაღმა, გროზნენსკის შესახვევი, № 4. პირობების გასაგებად მსურველს შეუძლიან მიმართოს დიდი ვანქის ქუჩაზე, სტამბა „სინათლე"-ში. (4—213—4)


სტამბა „სინათლე", დიდი ვანქის ქუჩა, № 12.

რედაქტორ-გამომცემელი **ი. ს. აბლაძე.**